პროექტი

საქართველოს მთავრობის

დადგენილება N

2022 წლის ქ. თბილისი

ტრანსპორტირებისა და მასთან დაკავშირებული ოპერაციების დროს ცხოველთა დაცვის წესის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს „ტრანსპორტირებისა და მასთან დაკავშირებული ოპერაციების დროს ცხოველთა დაცვის წესი“, თანდართულ დანართებთან ერთად.

მუხლი 2. ეს დადგენილება, გარდა ამ დადგენილებით დამტკიცებული „ტრანსპორტირებისა და მასთან დაკავშირებული ოპერაციების დროს ცხოველთა დაცვის წესის“ მე-6 მუხლის მე-9 პუნქტისა და მე-11 მუხლის მე-2 პუნქტისა, ამოქმედდეს 2028 წლის პირველი იანვრიდან.

მუხლი 3. ამ დადგენილებით დამტკიცებული „ტრანსპორტირებისა და მასთან დაკავშირებული ოპერაციების დროს ცხოველთა დაცვის წესის“ მე-6 მუხლის მე-9 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2028 წლის პირველი იანვრიდან.

მუხლი 4. ამ დადგენილებით დამტკიცებული „ტრანსპორტირებისა და მასთან დაკავშირებული ოპერაციების დროს ცხოველთა დაცვის წესის“ მე-6 მუხლის მე-9 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2030 წლის პირველი იანვრიდან.

ტრანსპორტირებისა და მასთან დაკავშირებული ოპერაციების დროს ცხოველთა დაცვის წესი

თავი I

რეგულირების სფერო, განმარტებები და ცხოველების ტრანსპორტირების ზოგადი მოთხოვნები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. „ტრანსპორტირებისა და მასთან დაკავშირებული ოპერაციების დროს ცხოველთა დაცვის წესი“ (შემდგომში-წესი) ვრცელდება ცოცხალი ხერხემლიანი ცხოველების ტრანსპორტირებაზე, რომელიც განხორციელდება ქვეყნის შიგნით, მათ შორის, სპეციფიკური შემოწმებების ჩათვლით, რომლებიც უნდა განხორციელდეს უფლებამოსილი პირების მიერ იმ ტვირთებზე, რომლებიც შედიან ან ტოვებენ ქვეყნის საბაჟო ტერიტორიას.

2. ამ წესის მხოლოდ მე-3 და მე-19 მუხლები გამოიყენება, როდესაც ხორციელდება:

ა) ფერმერების მიერ ცხოველების ტრანსპორტირება სასოფლო-სამეურნეო სატრანსპორტო საშუალებების ან მათი კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებით, იმ შემთხვევებში, როდესაც გეოგრაფიული ვითარება მოითხოვს ტრანსპორტირებას გარკვეული ტიპის ცხოველების სეზონური გადაადგილებისთვის;

ბ) ფერმერების მიერ საკუთარი ცხოველების საკუთარი სატრანსპორტო საშუალებებით ტრანსპორტირება მათი სადგომიდან 50 კმ-ზე ნაკლებ მანძილზე.

3. ეს წესი გამოიყენება ვეტერინარული კანონმდებლობით განსაზაღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით.

4. ეს წესი არ ვრცელდება ცხოველების ტრანსპორტირებაზე, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და არ ვრცელდება ასევე ვეტერინარის რჩევით ცხოველების ტრანსპორტირებაზე პირდაპირ კლინიკაში ან ვეტერინარული მომსახურების მისაღებად ან პირიქით - ვეტერინარული მომსახურების მიღებიდან ან კლინიკიდან ტრანსპორტირებაზე.

5. ამ წესის შესრულებაზე კონტროლს უზრუნველყოფს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – სააგენტო) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური (შემდგომში - შემოსავლების სამსახური).

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. ამ წესის მიზნებისთვის გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **ცხოველი** - ცოცხალი ხერხემლიანი ცხოველები;

ბ) **შემკრები ცენტრი** - ისეთ ადგილები, როგორიცაა სადგომი, შემკრები ცენტრი და ბაზარი, სადაც სხვადასხვა სადგომიდან წარმოშობილი შინაური ცხენისებრი ან მსხვილფეხა საქონლის, ცხვრის, თხის ან ღორის შინაური სახეობების ცხოველები თავმოყრილია ერთად ტვირთის ფორმირებისათვის;

გ) **გამყოლი** - პირი, რომელიც თან ახლავს ცხოველებს მგზავრობის დროს და უშუალოდ პასუხისმგებელია მათ კეთილდღეობაზე;

დ) **სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი** - საქართველოს საბაჟო საზღვართან მდებარე საბაჟო კონტროლის ზონა, ასევე, საბაჟო ორგანოს საწყობი, ან საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრული სხვა საბაჟო კონტროლის ზონა, სადაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახურის მიერ კონტროლის ობიექტების მიმართ ხორციელდება ვეტერინარული კონტროლი;

ე) **ვეტერინარული კანონმდებლობა** - ამ წესის დანართით N7 განსაზღვრული კანონმდებლობა და ნებისმიერი შემდგომ მიღებული ნორმატიული აქტი;

ვ) **კონტეინერი** - ნებისმიერი გალია, ყუთი, სათავსო ან სხვა მტკიცე/მყარი კონსტრუქცია, რომელიც არ არის სატრანსპორტო საშუალება, მაგრამ გამოიყენება ცხოველების ტრანსპორტირებისთვის;

თ) **საკონტროლო პუნქტი** - ადგილი, სადაც ცხოველებს ასვენებენ არანაკლებ 12 საათს ან მეტს ამ წესის დანართი N1-ის V თავის ,,1.5“ პუნქტის ან ,,1.7“ პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ი) **გასასვლელი პუნქტი** - სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი, სადაც ამ წესის რეგულირების სფეროში მოქცეული ცხოველი ტოვებს ქვეყნის საბაჟო ტერიტორიას;

კ) **მგზავრობა** - მთლიანი სატრანსპორტო ოპერაცია, გამგზავრების ადგილიდან დანიშნულების ადგილამდე, მგზავრობის შუალედურ ეტაპებზე ნებისმიერი ჩამოტვირთვის, განთავსებისა და ჩატვირთვის ჩათვლით;

ლ) **მომვლელი** - ნებისმიერ ფიზიკური ან იურიდიულ პირი, გარდა გადამზიდავისა, რომელიც პასუხისმგებელია ცხოველებზე მუდმივად ან დროებით;

მ) **მეცხოველეობაში გამოყენებული გემი** - გემი, რომელიც გამოიყენება ან განკუთვნილია შინაური ცხენისებრების ან მსხვილფეხა საქონლის, ცხვრის, თხის ან ღორის შინაური სახეობების გადასაყვანად, გარდა ჩასატვირთ-გადმოსატვირთი გემისა, და გარდა გემისა, რომელსაც ცხოველები გადაჰყავს მოძრავი კონტეინერებით;

მ) **ხანგრძლივი მგზავრობა** - მგზავრობა, რომელიც აღემატება 8 საათს, ტვირთის პირველი ცხოველის გადაადგილების დაწყების მომენტიდან;

ნ) **სატრანსპორტო საშუალება** - ცხოველების ტრანსპორტირებისთვის გამოყენებული საგზაო ან სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებები, გემი და თვითმფრინავი;

ო) **ნავიგაციის სისტემები** - თანამგზავრზე დაფუძნებულ ინფრასტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს გლობალურ, უწყვეტ, ზუსტ და გარანტირებული დროისა და პოზიციონირების სერვისებს ან ნებისმიერი ტექნოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს ამ წესის მიზნებისათვის მიჩნეულ ეკვივალენტურ მომსახურებას;

პ) **სახელმწიფო ვეტერინარი** - სააგენტოს ან შემოსავლების სამსახურის მიერ დანიშნული ვეტერინარი, როგორც პერსონალი ან სხვა სახით, რომელსაც გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით განსაზღვრული სახელმწიფო კონტროლის და კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა საქმიანობის განსახორციელებლად

ჟ) **ორგანიზატორი:**

ჟ.ა) გადამზიდავი, რომელიც თანამშრომლობს სულ მცირე ერთ სხვა გადამზიდავთან მგზავრობის ნაწილისთვის; ან

ჟ.ბ) ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც კონტრაქტი გააფორმა ერთზე მეტ გადამზიდავთან მგზავრობისთვის; ან

ჟ.გ) პირი, რომელმაც ხელი მოაწერა ამ წესის დანართი N2-ით განსაზღვრული მგზავრობის ჟურნალის ნაწილ N1-ს;

რ) **გამგზავრების ადგილი** - ადგილი, სადაც ცხოველი პირველად ჩაიტვირთა სატრანსპორტო საშუალებაში იმ პირობით, რომ ის იქ იყო განთავსებული გამგზავრებამდე სულ მცირე 48 საათით ადრე. თუ, შემკრები ცენტრი აღიარებული ან/და ავტორიზებულია ვეტერინარული კანონმდებლობის შესაბამისად ის შეიძლება ჩაითვალოს გამგზავრების ადგილად იმ პირობით, რომ:

რ.ა) გავლილი მანძილი ჩატვირთვის პირველ ადგილსა და შემკრებ ცენტრს შორის 100 კმ-ზე ნაკლებია; ან

რ.ბ) ცხოველები დაუბმელადაა მოთავსებული საკმარისი რაოდენობის ქვეშსაგებზე, და დაწყურებულნი არიან არანაკლებ ექვსი საათით ადრე შემკრები ცენტრიდან გამგზავრებამდე;

ს) **დანიშნულების ადგილი** - ადგილი, სადაც იმყოფება სატრანსპორტო საშუალებებიდან გადმოტვირთული ცხოველი და განთავსდება არანაკლებ 48 საათი გამგზავრებამდე ან

დაიკვლება;

ტ) **ტრანსპორტი** - სატრანსპორტო საშუალება, რომელიც აღჭურვილია მოძრავი ბორბლებით ან ებმევა ბუქსირით;

უ) **დასვენების ან ტრანსფერის ადგილი** - ნებისმიერი გაჩერება მგზავრობის დროს, რომელიც არ არის დანიშნულების ადგილი, მათ შორის ადგილი, სადაც ხდება ცხოველებისთვის სატრანსპორტო საშუალების შეცვლა, გადმოტვირთვის ან ჩატვირთვის გარეშე;

ფ) **რეგისტრირებული ცხენისებრები** - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ცხენისებრები;

ქ) **ჩასატვირთ-გადმოსატვირთი გემი** - საზღვაო გემი, რომელსაც აქვს საგზაო ან სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებების გემზე ჩატვირთვა-გადმოტვირთვის შესაძლებლობა;

ღ) **ტრანსპორტირება** - ცხოველთა გადაადგილება, რომელსაც ახორციელებს ერთი ან მეტი სატრანსპორტო საშუალება და მასთან დაკავშირებული ოპერაციები, მათ შორის ჩატვირთვა, გადმოტვირთვა, ტრანსფერი და დასვენება, ცხოველების დანიშნულების ადგილზე გადმოტვირთვის დასრულებამდე;

ყ) **გადამზიდავი** - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც გადაყავს ცხოველები საკუთარი ან მესამე მხარის დავალებით;

შ) **გაუხედნავი ცხენისებრი** - ცხენისებრები, რომელთა მიბმა ან აღვირის გაკეთება შეუძლებელია აღგზნების, ტკივილის ან ტანჯვის გამოწვევის გარეშე.

2. ამ წესის მიზნებისათვის ასევე გამოიყენება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით განსაზღვრული ტერმინები, თუ ამ წესით სხვაგვარად არ არის დადგენილი.

მუხლი 3. ცხოველების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ზოგადი მოთხოვნები

1. არცერთმა პირმა არ უნდა განახორციელოს ცხოველების ტრანსპორტირება ისე, რომ მათ მიაყენოს ზიანი ან გამოიწვიოს მათი ზედმეტი ტანჯვა.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნის გარდა, დაცული უნდა იქნეს შემდეგი პირობები, რომ:

ა) წინასწარ მიღებულია ყველა საჭირო ღონისძიება, რათა მინიმუმამდე შემცირდეს მგზავრობის ხანგრძლივობა და დაკმაყოფილდეს ცხოველების საჭიროებები მგზავრობის დროს;

ბ) ცხოველები ვარგისია მგზავრობისთვის;

გ) სატრანსპორტო საშუალებები დაგეგმილია, აგებულია, მოვლილია და ფუნქციონირებს ისე, რომ თავიდან იქნება აცილებული დაზიანება და ტანჯვა და უზრუნველყოფილი იქნება ცხოველების უსაფრთხოება;

დ) ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ობიექტები ადეკვატურად არის დაგეგმილი, აგებული, მოვლილი და ექსპლუატირებული ისე, რომ თავიდან იქნას აცილებული დაზიანება და ტანჯვა და უზრუნველყოფილი იქნება ცხოველების უსაფრთხოება;

ე) ცხოველებთან მომუშავე პერსონალი სათანადოდ გაწვრთნილი ან კომპეტენტურია ამ მიზნისთვის და ასრულებს თავის ამოცანებს ძალადობის ან რაიმე მეთოდის გამოყენების გარეშე, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ზედმეტი შიში, დაზიანება ან ტანჯვა;

ვ) ტრანსპორტირება ხორციელდება დაუყოვნებლივ დანიშნულების ადგილზე და რეგულარულად შემოწმდება და სათანადოდ იქნება დაცული ცხოველების კეთილდღეობა;

ზ) საკმარისი ფართობი და სიმაღლე გათვალისწინებულია ცხოველებისთვის, დაგეგმილი მგზავრობისა და მათი ზომის შესაბამისი;

თ) წყალს, საკვებსა და დასვენებას სთავაზობენ ცხოველებს შესაფერისი ინტერვალებით და ხარისხითა და რაოდენობით შეესაბამება მათ სახეობასა და ზომას.

თავი II

ორგანიზატორი, გადამზიდავი,მომვლელი და შემკრები ცენტრი

მუხლი 4. ტრანსპორტირების დოკუმენტები

1. ცხოველების ტრანსპორტირება დაუშვებელია სატრანსპორტო საშუალების დოკუმენტაციის გარეშე, რომელშიც მითითებულია:

ა) ცხოველების წარმოშობა და საკუთრება;

ბ) ცხოველების გამგზავრების ადგილი;

გ) ცხოველების გამგზავრების თარიღი და დრო;

დ) ცხოველების დანიშნულების ადგილი;

ე) დაგეგმილი მგზავრობის მოსალოდნელი ხანგრძლივობა.

2. გადამზიდავის მიერ ამ მუხლის 1-ელი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია, მოთხოვნის შემთხვევაში, ხელმისაწვდომი უნდა იყოს სააგენტოსთვის.

მუხლი 5. ვალდებულებები ცხოველთა ტრანსპორტირების დაგეგმვისას

1. ცხოველების ტრანსპორტირება დასაშვებია მხოლოდ ამ წესის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის ან მე-11 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად უფლებამოსილი გადამზიდავის მიერ.
2. გადამზიდავმა უნდა განსაზღვროს ტრანსპორტირებაზე პასუხისმგებელი ფიზიკური პირი და უზრუნველყოს, რომ პასუხისმგებელი პირის მიერ კონტროლის ქვეშ მყოფი მგზავრობის დაგეგმვის, შესრულებისა და დასრულების შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ნებისმიერ დროს.

3. ორგანიზატორი უზრუნველყოფს, რომ ყოველი მგზავრობისთვის:

ა) ცხოველების კეთილდღეობა არ არის საფრთხის ქვეშ მგზავრობის სხვადასხვა ნაწილების არასაკმარისი კოორდინაციის გამო და გათვალისწინებულია ამინდის პირობები;

ბ) ფიზიკური პირი პასუხისმგებელია სააგენტოს ნებისმიერ დროს მიაწოდოს ინფორმაცია მგზავრობის დაგეგმვის, შესრულებისა და დასრულების შესახებ.

4. სხვა ქვეყნებში ხანგრძლივი მგზავრობისას შინაური ცხენისებრებისთვის, გარდა რეგისტრირებული ცხენისებრებისა, და მსხვილფეხა საქონლის, ცხვრის, თხისა და ღორის შინაური სახეობების ცხოველებისთვის, გადამზიდავმა და ორგანიზატორმა უნდა დაიცვან ამ წესის დანართი N2-ით „მგზავრობის ჟურნალი (ამ წესის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტსა და მე-8 მუხლის მე-2 პუნქტთან დაკავშირებით)“ განსაზღვრული მგზავრობის ჟურნალთან დაკავშირებული მოთხოვნები.

მუხლი 6. გადამზიდავი

1. გადამზიდავის საქმიანობა დასაშვებია ამ წესის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად სააგენტოს მიერ გაცემული ავტორიზაციის საფუძველზე ან ხანგრძლივი მგზავრობისთვის - ამ წესის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე. ავტორიზაციის ასლი ხელმისაწვდომი უნდა იყოს სააგენტოს უფლებამოსილი პირისა და საპატრულო პოლიციისთვის ცხოველების ტრანსპორტირებისას.

2. გადამზიდავმა უნდა აცნობოს სააგენტოს ამ წესის მე-10 მუხლის პირველ პუნქტში ან ხაგრძლივი მგზავრობისას - ამ წესის მე-11 მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ინფორმაცია და დოკუმენტებთან დაკავშირებით განხორციელებული ცვლილებები, მისი (ცვლილებ(ებ)ის) განხორციელებიდან არაუმეტეს 15 სამუშაო დღისა.

3. გადამზიდავმა უნდა განახორციელოს ცხოველების ტრანსპორტირება ამ წესის დანართი N1-ით დადგენილი ტექნიკური წესების შესაბამისად.

4. გადამზიდავმა ცხოველების მოვლა/მოპყრობა უნდა ანდოს პერსონალს, რომელმაც გაიარა სწავლებები ამ წესის დანართი N1-ით „ტექნიკური წესები (ამ წესის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტს, მე-8 მუხლის პირველ პუნქტს, მე-9 მუხლის პირველი პუნქტსა და მე-2 პუნქტის

„ა“ ქვეპუნქტთან დაკავშირებით)“ და დანართი N2-ით განსაზღვრული შესაბამისი მოთხოვნების შესახებ.

5. არც ერთმა პირმა არ უნდა მართოს ან იმოქმედოს, როგორც გამყოლმა საგზაო სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელსაც გადაჰყავს შინაური ცხენისებრების ან მსხვილფეხა საქონლის, ცხვრის, თხის ან ღორის შინაური სახეობების ცხოველები ან ფრინველი გარდა იმ შემთხვევის, თუ მას არ გააჩნია ამ წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენციის სერტიფიკატი. კომპეტენციის სერტიფიკატი ხელმისაწვდომი უნდა იყოს სააგენტოსთვის ცხოველების ტრანსპორტირებისას.

6. გადამზიდავმა უნდა უზრუნველყოს, რომ გამყოლი ახლდეს ცხოველების ნებისმიერ პარტიას, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

ა) ცხოველების ტრანსპორტირება ხორციელდება კონტეინერებში, რომლებიც დაცულია, ადეკვატურად ვენტილირებადი და, საჭიროების შემთხვევაში, შეიცავს მოსალოდნელი მგზავრობისთვის საჭირო ხანგრძლივობაზე ორჯერ მეტი ხანგრძლივობისთვის საკმარის საკვებსა და წყალს, დისპენსერებში, რომელთა გადატრიალება შეუძლებელია;

ბ) სადაც მძღოლი ასრულებს გამყოლის ფუნქციებს.

7. ამ მუხლის 1-ლი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები არ ვრცელდება იმ პირზე, რომელიც ახორციელებს ცხოველების ტრანსპორტირებას არაუმეტეს 65 კმ-მდე, დათვლილი გამგზავრების ადგილიდან დანიშნულების ადგილამდე.

8. ამ წესის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით ან მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სანიტარიული მოწმობა გადამზიდავმა ხელმისაწვდომი უნდა გახადოს იმ ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოსთვის, სადაც ცხოველების ტრანსპორტირება ხდება.

9. შინაური ცხენისებრების (გარდა რეგისტრირებული ცხენისებრებისა) და მსხვილფეხა საქონლის, ცხვრის, თხისა და ღორის შინაური სახეობების ცხოველების ხანგრძლივი საგზაო მგზავრობისას გადამზიდავმა უნდა გამოიყენოს ამ წესის დანართი N1-ის VI თავის 4.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული ნავიგაციის სისტემა:

ა) საგზაო სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელიც პირველად ახორციელებს მსგავს სერვისს;

ბ) ყველა სატრანსპორტო საშუალებაზე.

10. ნავიგაციის სისტემით მოპოვებული ჩანაწერები გადამზიდავმა უნდა შეინახოს სულ მცირე სამი წლის განმავლობაში და ხელმისაწვდომი იყოს სააგენტოსთვის მოთხოვნის შემთხვევაში.

მუხლი 7. სატრანსპორტო საშუალების წინასწარი ინსპექტირება და სანიტარიული მოწმობა

1. დაუშვებელია ცხოველების ხანგრძლივი მგზავრობა საგზაო ტრანსპორტით, თუ სატრანსპორტო საშუალება არ არის ინსპექტირებული და არ არის მასზე გაცემული სანიტარიული მოწმობა ამ წესის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

2. დაუშვებელია საზღვაო გზით, 10 საზღვაო მილზე მეტ მანძილზე, შინაური ცხენისებრების და მსხვილფეხა საქონლის, ცხვრის, თხის ან ღორის შინაური სახეობების ცხოველების ტრანსპორტირება პორტიდან, თუ გემი არ იქნა ინსპექტირებული და არ არის მასზე გაცემული სანიტარიული მოწმობა ამ წესის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

3. ამ მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნები ვრცელდება კონტეინერებზე, რომლებიც გამოიყენება შინაური ცხენისებრების ან მსხვილფეხა საქონლის, თხის, ცხვრის ან ღორის შინაური სახეობების ცხოველების ხანგრძლივი მგზავრობისას საგზაო და/ან წყლით ტრანსპორტირებისას.

მუხლი 8. მომვლელი

1. გამგზავრების, ტრანსფერის ან დანიშნულების ადგილებზე, ცხოველთა მომვლელმა უნდა უზრუნველყოს ამ წესის დანართი N1-ის I თავის და III თავის პირველი ნაწილით განსაზღვრული ტექნიკური წესების დაცვა ტრანსპორტირებას დაქვემდებარებული ცხოველების მიმართ.

2. მომვლელმა უნდა შეამოწმოს ყველა ცხოველი, რომელიც შემოდის ტრანზიტზე ან დანიშნულების ადგილზე და განსაზღვროს, ექვემდებარებიან თუ არა ცხოველები ხანგრძლივ მგზავრობას სხვა ქვეყნებში. შინაური ცხენისებრების, გარდა რეგისტრირებული ცხენისებრებისა, და მსხვილფეხა საქონლის, ცხვრის, თხისა და ღორის შინაური სახეობების ცხოველების ხანგრძლივი მგზავრობის შემთხვევაში, მომვლელმა უნდა შეასრულოს ამ წესის დანართი N2-ით განსაზღვრული მგზავრობის ჟურნალთან დაკავშირებული მოთხოვნები.

მუხლი 9. შემკრები ცენტრი

1. შემკრები ცენტრის ბიზნესოპერატორმა უნდა უზრუნველყოს ცხოველების მოპყრობა ამ წესის დანართი N1-ის I თავისა და III თავის 1-ლი ნაწილით დადგენილი ტექნიკური წესების შესაბამისად.

2. ვეტერინარული კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული ან/და ავტორიზებული შემკრები ცენტრის ბიზნესოპერატორმა დამატებით უნდა:

ა) ანდოს ცხოველების მოვლა მხოლოდ პერსონალს, რომელმაც გაიარა სასწავლო კურსები ამ წესის დანართი N1-ით განსაზღვრულ შესაბამის ტექნიკურ წესებზე;

ბ) რეგულარულად აცნობოს შემკრებ ცენტრში დაშვებულ ადამიანებს ამ წესით გათვალისწინებული მოვალეობებისა და ვალდებულებების შესახებ და ნებისმიერი დარღვევისათვის გათვალისწინებული ჯარიმის შესახებ;

გ) მუდმივად ხელმისაწვდომი გახადოს შემკრებ ცენტრში დაშვებული ადამიანების მონაცემები სააგენტოსთვის, რომელსაც უნდა ეცნობოს ამ წესით განსაზღვრული მოთხოვნების ნებისმიერი შესაძლო დარღვევის შესახებ;

დ) მიიღოს შემკრებ ცენტრში მყოფი ნებისმიერი პირის მიერ ამ წესის შეუსრულებლობის შემთხვევაში და სააგენტოს მიერ განხორციელებული ნებისმიერი ქმედების გათვალისწინებით, აუცილებელი ზომები დაფიქსირებული შეუსაბამობის გამოსასწორებლად და მისი განმეორების თავიდან ასაცილებლად;

ე) მიიღოს, განახორციელოს მონიტორინგი და აღასრულოს აუცილებელი შიდა წესები, რათა უზრუნველყოს ამ პუნქტის ,,ა"-,,დ" ქვეპუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობა.

თავი III

სააგენტოს ფუნქციები და მოვალეობები

მუხლი 10. გადამზიდავის ავტორიზაციასთან დაკავშირებული მოთხოვნები

1. სააგენტო გასცემს ავტორიზაციას გადამზიდავზე იმ პირობით, რომ:

ა) განმცხადებელი წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ ფიზიკურ/იურიდიულ პირს ან საზღვარგარეთ რეგისტრირებული მეწარმის შემთხვევაში, წარმოდგენილია იქ, სადაც ის მისი წარმომადგენლობის მეშვეობით მიმართავს ავტორიზაციისათვის;

ბ) განმცხადებელმა აჩვენა, რომ ჰყავს საკმარისი და შესაბამისი პერსონალი, აქვს საკმარისი და შესაბამისი აღჭურვილობა და სამუშაო პროცედურები, რათა შეძლოს ამ წესით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელოების;

გ) განმცხადებელს ან მათ წარმომადგენელს სამი წლის განმავლობაში არ აქვთ ~~ჩანაწერი~~ ცხოველთა დაცვის შესახებ კანონმდებლობის სერიოზული დარღვევები განაცხადის შეტანის თარიღამდე. ეს მოთხოვნა არ გამოიყენება, როდესაც განმცხადებელი ადასტურებს სააგენტოს მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რომ მან მიიღო ყველა საჭირო ზომა შემდგომი დარღვევების თავიდან ასაცილებლად.

2. სააგენტო გასცემს ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ ავტორიზაციას ამ წესის დანართი N3-ის „ფორმები (ამ წესის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტსი, მე-11 მუხლის მე-2

პუნქტის, მე-13 მუხლის მე-2 პუნქტსა და მე-14 მუხლის მე-2 პუნქტითან დაკავშირებით) I თავში განსაზღვრული ნიმუშის შესაბამისად. ასეთი ავტორიზაცია მოქმედებს არაუმეტეს ხუთი წლის განმავლობაში გაცემის დღიდან და არ ვრცელდება ხანგრძლივ მგზავრობაზე.

მუხლი 11. ხანგრძლივი მგზავრობის განმახორციელებელი გადამზიდავის ავტორიზაციასთან დაკავშირებული მოთხოვნები

1. სააგენტო გასცემს ავტორიზაციას გადამზიდავზე, რომელიც ახორციელებს ხანაგრძლივ მგზავრობას განაცხადის საფუძველზე, იმ პირობით, რომ:

ა) ის აკმაყოფილებს ამ წესის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნებს;

ბ) განმცხადებელმა წარმოადგინა შემდეგი დოკუმენტები:

ბ.ა) ამ წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ყველა მძღოლისა და გამყოლისთვის, რომლებიც ახორციელებენ ხანგრძლივ მგზავრობას - მოქმედი კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატები;

ბ.ბ) ამ წესის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ხანგრძლივი მგზავრობისთვის გამოყენებულ ყველა საგზაო სატრანსპორტო საშუალებისთვის - მოქმედი სანიტარიული მოწმობა;

ბ.გ) პროცედურების დეტალები, რომლებიც საშუალებას მისცემს გადამზიდავს თვალყური ადევნოს და დააფიქსიროს მათი პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფი საგზაო ტრანსპორტის მოძრაობა და დაუკავშირდნენ შესაბამის მძღოლებს ნებისმიერ დროს ხანგრძლივი მგზავრობისას;

ბ.დ) საგანგებო გეგმები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ.გ“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის, გადამზიდავმა, რომელიც ახორციელებს შინაური ცხენისებრების, გარდა რეგისტრირებული ცხენისებრებისა, და მსხვილფეხა საქონლის, ცხვრის, თხის ან ღორის შინაური სახეობების ცხოველების ხანგრძლივ მგზავრობას, უნდა აჩვენოს, რომ იყენებს ამ წესის მე-6 მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრულ ნავიგაციის სისტემას:

ა) პირველად ექსპლუატაციაში მყოფი საგზაო სატრანსპორტო საშუალებებისთვის;

ბ) ყველა სახის საგზაო სატრანსპორტო საშუალებაზე.

3. სააგენტო გასცემს ასეთ ავტორიზაციას ამ წესის დანართი N3-ის II თავში განსაზღვრული ნიმუშის შესაბამისად. ასეთი ავტორიზაცია ძალაშია არაუმეტეს ხუთი წლის განმავლობაში გაცემის დღიდან და მოქმედებს ყველა მგზავრობაზე, ხანგრძლივი მგზავრობის ჩათვლით.

მუხლი 12. სააგენტოს მიერ ავტორიზაციის გაცემა

1. სააგენტომ შეიძლება შეზღუდოს ამ წესის მე-10 მუხლის პირველი პუნქტით ან ამ წესის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხანგრძლივი მგზავრობის ავტორიზაციის ფარგლები კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც შეიძლება გადამოწმდეს/შემოწმდეს ტრანსპორტირების დროს.

2. სააგენტო გასცემს ამ წესის მე-10 მუხლის პირველი პუნქტით ან ხანგრძლივი მგზავრობისთვის ამ წესის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ თითოეულ ავტორიზაციას, უნიკალური ნომრით.

3. სააგენტო აღრიცხავს ამ წესის მე-10 მუხლის პირველი ან მე-11 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ავტორიზაციას ისე, რომ სააგენტოს მიეცეს საშუალება სწრაფად დაადგინოს გადამზიდავები, განსაკუთრებით ამ წესით განსაზღვრული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

4. სააგენტომ უნდა აღრიცხოს ამ წესის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად გაცემული ავტორიზაცია ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში. გადამზიდავის სახელი და ავტორიზაციის ნომერი საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა იქნეს ავტორიზაციის მოქმედების პერიოდში. საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იქნეს სხვა მონაცემებიც, რომლებიც დაკავშირებულია გადამზიდავის ავტორიზაციასთან კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ ეროვნული წესების დაცვით.

მუხლი 13. სასწავლო კურსები და კომპეტენციის სერტიფიკატი

1. ამ წესის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის მიზნებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იქნეს გადამზიდავისა და შემკრები ცენტრის პერსონალისთვის სასწავლო კურსები.

2. ამ წესის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტში განსაზღვრული საგზაო სატრანსპორტო საშუალებების მძღოლებისა და გამყოლისათვის, შინაური ცხენისებრების ან მსხვილფეხა საქონლის, ცხვრის, თხის ან ღორის შინაური სახეობების ცხოველების ან ფრინველის ტრანსპორტირებისათვის, ამ წესის დანართი N6-ის „საჰაერო ტრანსპორტირებისას ცოცხალი ცხოველების ტრანსპორტირებისათვის შესაბამისი კონტეინერების, გალიის ან საკანის/კაბინის საერთაშორისო სტანდარტების (ამ წესის I დანართის II თავის 4.1 პუნქტთან დაკავშირებით)“ შესაბამისად, გაიცემა კომპეტენციის სერტიფიკატი. კომპეტენციის სერტიფიკატი გაიცემა სამინისტროს ამ მიზნით შერჩეული დაწესებულების მიერ და ამ წესის დანართი N3-ის III თავით განსაზღვრული ნიმუშის შესაბამისად.

კომპეტენციის სერტიფიკატი შეიძლება შემოიფარგლოს კონკრეტული სახეობით ან სახეობათა ჯგუფით.

მუხლი 14. საგზაო სატრანსპორტო საშუალებების სანიტარიული მოწმობა

1. სააგენტო გასცემს სანიტარიული მოწმობას, ხანგრძლივი მგზავრობისთვის გამოყენებული საგზაო სატრანსპორტო საშუალებებზე, განაცხადის საფუძველზე, იმ პირობით, რომ სატრანსპორტო საშუალება დაათვალიერა სააგენტომ და დაადგინა ამ წესის დანართი N1-ის II და VI თავების მოთხოვნებთან შესაბამისობა, რომლებიც გამოიყენება ხანგრძლივი მგზავრობისთვის გამოყენებულ საგზაო სატრანსპორტო საშუალებების დიზაინზე, კონსტრუქციასა და მოვლაზე.

2. სააგენტო გასცემს თითოეულ მოწმობას უნიკალური ნომრით და ამ წესის დანართი N3-ის IV თავში მოცემული ნიმუშის შესაბამისად. მოწმობა მოქმედებს არაუმეტეს ხუთი წლის განმავლობაში გაცემის დღიდან და ძალადაკარგულია, როგორც კი სატრანსპორტო საშუალება შეიცვლება ან გადაკეთდება ისე, რომ გავლენას მოახდენს ცხოველების კეთილდღეობაზე.

3. სააგენტომ უნდა ჩაიწეროს საგზაო სატრანსპორტო საშუალებების სანიტარიული მოწმობები ხანგრძლივ მგზავრობებზე ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში ისე, რომ შესაძლებელი იყოს მათი სწრაფად იდენტიფიცირება, განსაკუთრებით ამ წესით განსაზღვრული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

4. ამ მუხლით განსაზღვრული მოთხოვნები და ამ წესის დანართი N1-ის V თავის ,,1.4“ პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტითა და VI თავის მოთხოვნები საგზაო სატრანსპორტო საშუალებებზე არ ვრცელდება, როდესაც საბოლოო დანიშნულების ადგილზე მისასვლელად საჭიროა არაუმეტეს 12 საათიანი მგზავრობა.

მუხლი 15. მეცხოველეობაში გამოყენებული გემების სანიტარიული მოწმობა

1. სააგენტო გასცემს გემზე სანიტარიული მოწმობას განაცხადის საფუძველზე, იმ პირობით, რომ გემი არის შემოწმებული მათ მიერ და დაადგინა, რომ შეესაბამება ამ წესის დანართი N1-ის IV თავის 1-ლი ნაწილის მოთხოვნებს მეცხოველეობაში გამოყენებული გემების კონსტრუქციასა და აღჭურვილობასთან დაკავშირებით.

2. სააგენტო გასცემს თითოეულ მოწმობას უნიკალური ნომრით. მოწმობა მოქმედებს არაუმეტეს ხუთი წლისა გაცემის დღიდან და ძალადაკარგულია, როგორც კი სატრანსპორტო საშუალება შეიცვლება ან გადაკეთდება ისე, რომ გავლენას მოახდენს ცხოველების კეთილდღეობაზე.

3. სააგენტომ უნდა აწარმოოს მეცხოველეობაში გამოყენებული გემების შესახებ ჩანაწერები ისე, რომ შესაძლებელი იყოს მათი სწრაფად იდენტიფიცირება, განსაკუთრებით ამ წესით განსაზღვრული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

4. სააგენტომ უნდა აღრიცხოს მეცხოველეობაში გამოყენებული გემების სანიტარიული მოწმობები ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში, რათა შესაძლებელი იყოს მათი სწრაფი იდენტიფიცირება, განსაკუთრებით ამ წესით განსაზღვრული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

მუხლი 16. მეცხოველეობაში გამოყენებული გემების ინსპექტირება ჩატვირთვა-გადმოტვირთვაზე

1. სააგენტომ უნდა განახორციელოს მეცხოველეობაში გამოყენებული გემების ინსპექტირება ცხოველის ჩატვირთვამდე, რათა დაადასტუროს, კერძოდ, რომ:

ა) გემი აგებულია და აღჭურვილია გადასაყვანი ცხოველების რაოდენობისა და ტიპის შესაბამისად;

ბ) კუპეები, სადაც ცხოველები უნდა განთავსდეს, რჩება კარგ მდგომარეობაში;

გ) ამ წესის დანართი N1-ის IV თავში მითითებული აღჭურვილობა რჩება კარგ მუშა მდგომარეობაში.

2. სააგენტომ უნდა განახორციელოს მეცხოველეობაში გამოყენებული გემების ინსპექტირება ჩატვირთვა/გადმოტვირთვის წინ და ჩატვირთვა/გადმოტვირთვისას, რათა დარწმუნდეს, რომ:

ა) ცხოველებს შეუძლიათ მგზავრობის გაგრძელება;

ბ) ჩატვირთვა/გადმოტვირთვა ხორციელდება ამ წესის დანართი N1-ის III თავის შესაბამისად;

გ) საწყურებლები და საკვებურები შეესაბამება ამ წესის დანართი N1-ის IV თავის მე-2 ნაწილს.

მუხლი 17. შეფერხება ტრანსპორტირების დროს

შემოსავლების სამსახური და სააგენტო, კომპეტენციის ფარგლებში, იღებს აუცილებელ ზომებს, რათა თავიდან იქნეს აცილებული ან მინიმუმამდე შეამციროს ტრანსპორტირებისას ნებისმიერი შეფერხება ან ცხოველების ტანჯვა, როდესაც გაუთვალისწინებელი გარემოებები აფერხებს ამ წესის გამოყენებას. უზრუნველყოფილი

უნდა იქნეს მათ მიერ სპეციალური ღონისძიებების გატარება ტრანსფერის ადგილზე, გასასვლელ პუნქტებსა და სასაზღვრო ინსპექციის პუნქტებში, რათა უპირატესობა მიენიჭოს ცხოველების ტრანსპორტირებას.

თავი IV

აღსრულება და ინფორმაციის გაცვლა

მუხლი 18. პასუხისმგებლობა

ამ წესით დადგენილი მოთხოვნათა დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 19. ინსპექტირება და წლიური ანგარიში

სააგენტომ, ყოველი წლის 31 აგვისტომდე, უნდა წარუდგინოს სამინისტროს ამ წესის დანართი N5-ის „სააგენტოს მიერ წარდგენილი წლიური ანგარიში 01.01.(XXXX)- დან 31.12(XXXX)-მდე“ შესაბამისად, წინა წლის წლიური ანგარიში მის მიერ განხორციელებული ინსპექტირების შესახებ, რათა დაადასტუროს ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობა. ანგარიშს უნდა დაერთოს გამოვლენილი ძირითადი ხარვეზების ანალიზი და მათი აღმოფხვრის სამოქმედო გეგმა.

მუხლი 20. კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელოები

ხელი უნდა შეეწყოს კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელოების შემუშავებას, რომელიც მოიცავს მითითებებს ამ წესის და, კერძოდ, მე-10 მუხლის პირველი პუნქტთან შესაბამისობის შესახებ. წახალისებული უნდა იყოს სახელმძღვანელოების გავრცელება და გამოყენება.

დანართი N1

ტექნიკური წესები

(ამ წესის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის და მე-9 მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტთან დაკავშირებით)

თავი I

ტრანსპორტისთვის ვარგისიანობა

1. დაუშვებელია ნებისმიერი ცხოველის ტრანსპორტირება, თუ ის არ არის ვარგისი გამიზნული მგზავრობისთვის. ყველა ცხოველი უნდა იქნეს ტრანსპორტირებული გარანტირებულ პირობებში, რათა არ გამოიწვიოს მათი დაზიანება ან ზედმეტი ტანჯვა.

2. ცხოველები, რომლებიც დაშავებულია/დაზიანებულია ან აქვთ ფიზიოლოგიური სისუსტე ან პათოლოგიური პროცესები, არ ჩაითვლება ტრანსპორტირებისთვის ვარგისად, კერძოდ, თუ:

ა) მათ არ შეუძლიათ დამოუკიდებლად გადაადგილება ტკივილის გარეშე ან სიარული დახმარების გარეშე;

ბ) მათ აღენიშნებათ მძიმე ღია ჭრილობა ან ამოვარდნა/პროლაფსი;

გ) ისინი არიან მაკეები, რომელთათვისაც უკვე გავიდა მოსალოდნელი გესტაციის პერიოდის 90% ან მეტი, ან მდედრები, რომლებმაც იმშობიარეს წინა კვირაში;

დ) ისინი არიან ახალშობილი ძუძუმწოვრები, რომლებსაც ჭიპი ბოლომდე არ შეხორცებიათ;

ე) ისინი არიან სამ კვირაზე ნაკლები ასაკის გოჭები, ერთ კვირაზე ნაკლები ასაკის ბატკნები და ათ დღეზე ნაკლები ასაკის ხბოები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათი ტრანსპორტირება ხდება 100 კმ-ზე ნაკლებ მანძილზე;

ვ) ისინი არიან რვა კვირაზე ნაკლები ასაკის ძაღლები და კატები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათ თან ახლავს დედა;

ზ) ირმები არიან რქების მოცვლის პერიოდში.

3. ავადმყოფი ან დაშავებული ცხოველები შეიძლება ჩაითვალოს ტრანსპორტირებისთვის ვარგისად, თუ:

ა) ისინი მსუბუქად დაშავებულნი ან დაავადებულნი არიან და ტრანსპორტი არ გამოიწვევს მათ დამატებით ტანჯვას; ეჭვის შემთხვევაში საჭიროა ვეტერინარის რჩევის მიღება;

ბ) მათი ტრანსპორტირება ხორციელდება ექსპერიმენტული ან სხვა სამეცნიერო მიზნებისათვის, თუ დაავადება ან დაზიანება არის კვლევითი პროგრამის ნაწილი;

გ) მათი ტრანსპორტირება ხორციელდება ვეტერინარული ზედამხედველობის ქვეშ ვეტერინარული მკურნალობის ან დიაგნოზის დასადგენად ან შემდგომ. თუმცა, ასეთი ტრანსპორტირება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არ არის მიყენებული ზედმეტი ტანჯვა ან არასათანადო მოპყრობა შესაბამისი ცხოველების მიმართ;

დ) ცხოველებს, რომლებსაც ჩაუტარდათ ვეტერინარულ პროცედურები, როგორიცაა რქების მოკვეთა ან კასტრაცია, იმ პირობით, რომ ჭრილობები მთლიანად შეხორცებულია.

4. როდესაც ცხოველები ავადდებიან ან დაშავდებიან ტრანსპორტირების დროს, ისინი უნდა განცალკევდნენ სხვებისგან და მიიღონ პირველადი დახმარება რაც შეიძლება მალე. მათ უნდა ჩაუტარდეთ შესაბამისი ვეტერინარული მკურნალობა და აუცილებლობის შემთხვევაში, გაიარონ გადაუდებელი დაკვლა ან მოკვლა ისე, რომ არ გამოიწვიოს მათთვის ზედმეტი ტანჯვა.

5. სედატიური საშუალებების გამოყენება არ შეიძლება გადასაყვან ცხოველებზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს მკაცრად აუცილებელია ცხოველების კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად და გამოიყენება მხოლოდ ვეტერინარული ზედამხედველობის ქვეშ.

6. მსხვილფეხა საქონლის, ცხვრის და თხის სახეობის მეძუძურ მდედრებს, რომლებსაც არ ახლავს შთამომავლობა, უნდა მოიწველოს არაუმეტეს 12 საათის ინტერვალით.

7. ამ თავის მე-2 პუნქტის ,,გ“ და ,,დ“ ქვეპუნქტების მოთხოვნები არ ვრცელდება რეგისტრირებულ ცხენისებრებზე, თუ მგზავრობის მიზანია მშობიარობის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის პირობების გაუმჯობესება, ან ახლად დაბადებული კვიცი/ჩოჩორისთვის მათი რეგისტრირებული ფაშატით, იმ პირობით, რომ ორივე შემთხვევაში ცხოველებს მგზავრობისას მუდმივად თან ახლავს მათზე მზრუნველი გამყოლი.

თავი II

სატრანსპორტო საშუალებები

1. მოთხოვნები ყველა ტიპის სატრანსპორტო საშუალებისთვის

1.1 სატრანსპორტო საშუალებები, კონტეინერები და მათი შემადგენელი ნაწილები ისე უნდა იყოს დაპროექტებული, კონსტრუირებული, შენახული და ექსპლუატირებული , რომ:

ა) თავიდან იქნეს აცილებული დაზიანება და ტანჯვა და უზრუნველყოფდეს ცხოველების უსაფრთხოებას;

ბ) იცავდეს ცხოველებს უამინდობისგან, ექსტრემალური ტემპერატურისა და კლიმატური პირობების არასასურველი ცვლილებებისგან;

გ) დაექვემდებაროს დასუფთავებასა და დეზინფექციას;

დ) თავიდან იქნეს აცილებული ცხოველების გაქცევა ან გადმოვარდნა და შეძლოს გაუძლოს სტრესით გამოწვეულ მოძრაობას;

ე) უზრუნველყოფდეს ტრანსპორტირებას დაქვემდებარებული სახეობების შესაბამისი ხარისხისა და რაოდენობის ჰაერის შენარჩუნებას;

ვ) უზრუნველყოფილი იქნეს ცხოველებთან წვდომა მათი შემოწმებისა და მოვლისათვის;

ზ) ჰქონდეს მოცურების საწინააღმდეგო იატაკის ზედაპირი;

თ) ჰქონდეს იატაკის ზედაპირი, რომელიც ამცირებს შარდის ან ფეკალიების გაჟონვას;

ი) უზრუნველყოფილი იქნეს განათება, რომელიც საკმარისია ტრანსპორტის დროს ცხოველების შესამოწმებლად და მოვლისთვის.

1.2. საკმარისი ადგილი უნდა იყოს უზრუნველყოფილი ცხოველების კუპეებში და მის თითოეულ დონეზე, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ცხოველების ზემოთ ადეკვატური ვენტილაცია, როდესაც ისინი ბუნებრივად დგანან, მათი ბუნებრივი მოძრაობის შეფერხების გარეშე.

1.3. გარეული ცხოველებისთვის და სხვა სახეობებისთვის, გარდა შინაური ცხენისებრების ან მსხვილფეხა საქონლის, ცხვრის, თხისა და ღორის შინაური სახეობების ცხოველებისთვის, საჭიროების შემთხვევაში, ცხოველებს თან უნდა ახლდეს შემდეგი დოკუმენტები:

ა) შეტყობინება, რომელიც მიუთითებს, რომ ცხოველები არიან ველური, მშიშარა ან საშიში;

ბ) წერილობითი ინსტრუქციები კვების, დაწყურებისა და ნებისმიერი განსაკუთრებული მოვლის შესახებ.

1.4. ტიხრები უნდა იყოს საკმარისად ძლიერი, რომ გაუძლოს ცხოველების წონას. შემადგენელი ნაწილები უნდა იყოს დაგეგმილი სწრაფი და მარტივი მუშაობისთვის.

1.5. 10 კგ-ზე ნაკლები წონის გოჭებს, 20 კგ-ზე ნაკლები წონის ბატკნებს, ექვს თვეზე ნაკლები ასაკის ხბოებს და ოთხ თვეზე ნაკლები ასაკის ფუტკრებს უნდა მიეწოდოთ შესაბამისი ქვეშსაგები ან ექვივალენტი მასალა, რომელიც უზრუნველყოფს მათ კომფორტს სახეობის,

ტრანსპორტირებადი ცხოველების რაოდენობის, მგზავრობის დროისა და ამინდის მიხედვით. ამ მასალამ უნდა უზრუნველყოს შარდისა და ფეკალიების ადექვატური შეწოვა.

1.6. თუ გემზე, საჰაერო ან სარკინიგზო ვაგონზე ტრანსპორტირება უნდა გაგრძელდეს სამ საათზე მეტხანს, გამყოლისთვის ან ბორტზე მყოფი პირისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ამ სახეობისთვის შესაფერისი მოკვლის საშუალება და უნდა ჰქონდეს საჭირო უნარი ამ დავალების ჰუმანურად და ეფექტურად შესასრულებლად.

2. დამატებითი მოთხოვნები საგზაო და სარკინიგზო ტრანსპორტისთვის

2.1. სატრანსპორტო საშუალებებს, რითაც ცხოველები გადაჰყავთ, უნდა იყოს მკაფიოდ და თვალსაჩინოდ მონიშნული, რაც მიუთითებს ცოცხალი ცხოველების არსებობაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ცხოველები ტრანსპორტირდება კონტეინერებში, რომლებიც მარკირებულია/ნიშანდებულია ამ თავის 5.1 პუნქტის შესაბამისად.

2.2. საგზაო სატრანსპორტო საშუალებებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი აღჭურვილობა ჩატვირთვისა და გადმოტვირთვისთვის.

2.3. მატარებლების აწყობისას და სარკინიგზო ვაგონების ყველა სხვა გადაადგილებისას მიღებული უნდა იქნეს ყველა სიფრთხილის ზომა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ცხოველების შემცველი სარკინიგზო ვაგონის რყევა.

3. დამატებითი მოთხოვნები ჩასატვირთ-გადმოსატვირთი გემებით ტრანსპორტირებისას

3.1. გემზე ჩატვირთვამდე კაპიტანმა უნდა შეამოწმოს, რომ ტრანსპორტის ჩატვირთვისას:

ა) დახურულ გემბანებზე გემი აღჭურვილია შესაბამისი იძულებითი ვენტილაციის სისტემით და აღჭურვილია სიგნალიზაციის სისტემით და ავარიის შემთხვევაში ენერგიის ადეკვატური მეორადი წყაროთი;

ბ) ღია გემბანებზე უზრუნველყოფილია ადეკვატური დაცვა ზღვის წყლისგან.

3.2. საგზაო ტრანსპორტი და სარკინიგზო ვაგონები აღჭურვილი უნდა იყოს საკმარისი რაოდენობის ადეკვატურად დაპროექტებული, განლაგებული და მოვლილი დამცავი წერტილებით, რაც მათ გემზე უსაფრთხოდ დამაგრების საშუალებას მისცემს. საგზაო ტრანსპორტი და სარკინიგზო ვაგონები უნდა იყოს დამაგრებული გემზე ზღვით მგზავრობის დაწყებამდე, რათა თავიდან იქნეს აცილებული მათი გადაადგილება გემის მოძრაობისას.

4. დამატებითი მოთხოვნები საჰაერო ტრანსპორტისთვის

4.1. ცხოველების ტრანსპორტირება უნდა მოხდეს იმ სახეობებისთვის შესაფერის კონტეინერში, გალიაში ან საკანში/კაბინაში, რომლებიც შეესაბამება ამ წესის დანართი N6-

ში მითითებულ საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის ასოციაციის (IATA) ცოცხალ ცხოველებთან დაკავშირებულ რეგულაციას, მათი ვერსიით.

4.2. ცხოველების ტრანსპორტირება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ პირობებში, სადაც ჰაერის ხარისხი, ტემპერატურა და წნევა შეიძლება შენარჩუნდეს სათანადო დიაპაზონში მთელი მგზავრობის განმავლობაში, ცხოველთა სახეობების გათვალისწინებით.

5. დამატებითი მოთხოვნები კონტეინერებით ტრანსპორტირებისას

5.1. კონტეინერი, რომლითაც ცხოველების ტრანსპორტირება ხორციელდება, კონტეინერის ზედა ნაწილი უნდა იყოს მკაფიოდ და თვალსაჩინოდ მარკირებული/ნიშანდებული ცოცხალი ცხოველების არსებობაზე.

5.2. ტრანსპორტირებისა და ცხოველებთან ურთიერთობის/მოპყრობის დროს კონტეინერები ყოველთვის უნდა იყოს ვერტიკალურ მდგომარეობაში და შემცირდეს ძლიერი რხევები ან რყევები. კონტეინერები უნდა იყოს დაცული/დამაგრებული ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული გადაადგილება სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის გამო.

5.3. 50 კგ-ზე მეტი წონის კონტეინერი აღჭურვილი უნდა იყოს საკმარისი რაოდენობის ადეკვატურად დაპროექტებული, განლაგებული და მოვლილი დამცავი წერტილებით, რაც უზრუნველყოფს მათ უსაფრთხოდ დამაგრებას სატრანსპორტო საშუალებაზე, სადაც უნდა ჩაიტვირთოს. მგზავრობის დაწყებამდე კონტეინერები უნდა იყოს დამაგრებული სატრანსპორტო საშუალებებზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული გადაადგილება სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის გამო.

თავი III

სატრანსპორტო პრაქტიკა

1. ჩატვირთვა, გადმოტვირთვა და მოპყრობა

1.1. სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ცხოველთა გარკვეული კატეგორიის, როგორიცაა გარეული ცხოველების, საჭიროებას, შეეგუონ ტრანსპორტის რეჟიმს დაგეგმილ მგზავრობამდე.

1.2. სადაც ჩატვირთვა ან გადმოტვირთვა გრძელდება ოთხ საათზე მეტ ხანს, გარდა ფრინველისა:

ა) ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამისი საშუალებები, რათა შეინახონ, გამოკვებონ და დააწყურონ ცხოველები სატრანსპორტო საშუალების გარეთ დაბმის გარეშე;

ბ) ოპერაციებს ზედამხედველობას უნდა უწევდეს ავტორიზებული ვეტერინარი და განსაკუთრებული სიფრთხილის ზომები უნდა იქნას მიღებული ამ ოპერაციების დროს ცხოველების კეთილდღეობის სათანადოდ უზრუნველსაყოფად.

მოწყობილობები და პროცედურები

1.3. ჩატვირთვისა და გადმოტვირთვის მოწყობილობები, იატაკის ჩათვლით, უნდა იყოს დაპროექტებული, აშენებული, მოვლილი და ექსპლუატირებული ისე, რომ:

ა) ცხოველების გადაადგილების დროს თავიდან უნდა იქნეს აცილებული დაზიანებები და ტანჯვა და მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი შფოთვა და უარყოფითი სტრესი, ასევე უზრუნველყოფილი ცხოველების უსაფრთხოება. კერძოდ, ზედაპირები არ უნდა იყოს მოლიპული და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს გვერდითი დაცვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ცხოველების გაქცევა;

ბ) დაექვემდებაროს დასუფთავებას და დეზინფექციას.

1.4.

ა) პანდუსები არ უნდა იყოს უფრო ციცაბო, ვიდრე 20 გრადუსიანი კუთხით, რაც არის 36,4%-იანი ჰორიზონტალური დახრილობა ღორების, ხბოებისა და ცხენებისთვის და 26 გრადუსიანი კუთხე 34 წუთზე, რაც არის 50%-იანი ჰორიზონტალური დახრილობა ცხვრისა და მსხვილფეხა საქონლისთვის, გარდა ხბოებისა. სადაც დახრილობა 10 გრადუსზე ციცაბოა, ანუ ჰორიზონტალურთან მიმართებაში 17,6%, პანდუსები აღჭურვილი უნდა იყოს ისეთი სისტემით, როგორიცაა ფიცრები, რომელიც უზრუნველყოფს ცხოველების ასვლას ან დაცემას რისკისა და სირთულეების გარეშე;

ბ) ამწე პლატფორმებსა და ზედა იატაკს უნდა ჰქონდეს უსაფრთხოების ბარიერები, რათა თავიდან იქნეს აცილებული ცხოველების დაცემა ან გაქცევა ჩატვირთვისა და გადმოტვირთვის ოპერაციების დროს.

1.5. საქონელი/პროდუქცია, რომელიც ტრანსპორტირდება იმავე სატრანსპორტო საშუალებით, რომლითაც ცხოველები, უნდა იყოს განლაგებული ისე, რომ არ გამოიწვიოს ცხოველების დაზიანება, ტანჯვა ან უარყოფითი სტრესი.

1.6. ჩატვირთვისა და გადმოტვირთვისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი განათება.

1.7. როდესაც სატრანსპორტო საშუალებებზე ცხოველებით დატვირთული კონტეინერები ერთმანეთზეა მოთავსებული, საჭიროა სიფრთხილის ზომების დაცვა:

ა) თავიდან უნდა იქნეს აცილებული, ან ფრინველის, კურდღლისა და საბეწვე ცხოველების შემთხვევაში შეზღუდოს შარდისა და ნაკელის ჩამოსხმა ქვემოთ მოთავსებულ ცხოველებზე;

ბ) კონტეინერების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად;

გ) ვენტილაციის შეუფერხებლად მიწოდებისთვის.

მოპყრობა

1.8. აკრძალულია:

ა) ცხოველების ცემა ან დარტყმა;

ბ) სხეულის რომელიმე განსაკუთრებით მგრძნობიარე ნაწილზე ისე ზეწოლა, რომ გამოიწვიოს მათ ზედმეტი ტკივილი ან ტანჯვა;

გ) ცხოველების მექანიკური საშუალებებით შეკავება;

დ) ცხოველებს თავით, ყურებით, რქებით, ფეხებით, კუდით ან მატყლით აწევა ან გათრევა, ან მათი ისე მოპყრობა, რომ გამოიწვიოს მათ ზედმეტი ტკივილი ან ტანჯვა;

ე) საჩხვეტელასი ან სხვა ხელსაწყოების, წვეტიანი ბოლოებით, გამოყენება;

ვ) ნებისმიერ ცხოველზე, რომელიც მიჰყავთ ნებისმიერ ნაწილში, სადაც ცხოველებს ეპყრობიან, შეგნებულად ხელის შეშლა.

1.9. შეძლებისდაგვარად თავიდან უნდა იქნას აცილებული ინსტრუმენტების გამოყენება, რომლითაც ახდენენ ელექტრო დარტყმას. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ხელსაწყოები გამოიყენება მხოლოდ ზრდასრული მსხვილფეხა საქონლისა და ზრდასრული ღორებისთვის, რომლებიც უარს ამბობენ გადაადგილებაზე და მხოლოდ მაშინ, როდესაც მათ წინ აქვთ სათავსო, სადაც უნდა შეიყვანონ. დარტყმები უნდა გაგრძელდეს არა უმეტეს ერთი წამისა, იყოს ადეკვატურ ადგილას და უნდა იქნას გამოყენებული მხოლოდ უკანა ნაწილის კუნთებზე. შოკი არ უნდა იქნას გამოყენებული განმეორებით, თუ ცხოველი არ რეაგირებს.

1.10. საჭიროების შემთხვევაში, ბაზარი ან შემკრები ცენტრი უზრუნველყოფილნი უნდა იყოს ცხოველების დასაბმელი აღჭურვილობით. ცხოველები, რომლებიც არ არიან მიჩვეულები დაბმას, უნდა დატოვონ დაუბმელი. ცხოველებს უნდა ჰქონდეთ წვდომა წყალზე.

1.11. ცხოველები არ უნდა იყოს მიბმული რქებით, მათ შორის ირმები, ცხვირის რგოლებით და ერთმანეთთან შეკრული ფეხებით. ხბოები არ უნდა იყოს ალიკაპ ჩამოცმული. რვა

თვეზე მეტი ასაკის შინაურმა ცხენისებრებმა ტრანსპორტირებისას უნდა ატარონ ლაგამი, გარდა გაუხედნავი ცხენებისა.

როდესაც ცხოველების მიბმაა საჭირო, თოკები, ბორკილები ან სხვა საშუალებები გამოიყენება:

ა) საკმარისად ძლიერი, რომ არ გაწყდეს/გატყდეს ნორმალური ტრანსპორტირების პირობებში;

ბ) ისე, რომ ცხოველებს, საჭიროების შემთხვევაში, შეეძლოთ დაწოლა, დალევა და კვება;

გ) ისეთი კონსტრუქციის, რომ აღმოიფხვრილი იყოს დახრჩობის ან დაზიანების საფრთხე და ცხოველების შეეძლოთ სწრაფად გათავისუფლება.

განცალკევება

1.12. ცხოველების მოპყრობა და ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს განცალკევებით შემდეგ შემთხვევებში:

ა) სხვადასხვა სახეობის ცხოველების;

ბ) მნიშვნელოვნად განსხვავებული ზომის ან ასაკის ცხოველების;

გ) ზრდასრული სანაშენე მწარმოებელი ღორის ან ულაყის;

დ) სქესობრივად მომწიფებული მამრებისა მდედრებიდან;

ე) რქიანი ცხოველებისა ურქო ცხოველებიდან;

ვ) ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილი ცხოველების;

ზ) დაბმული ცხოველებისა დაუბმელი ცხოველებისგან.

1.13. ამ თავის 1.12 პუნქტის ,,ა“-,,ე“ ქვეპუნქტები არ გამოიყენება, როდესაც ცხოველები გაზრდილნი არიან თავსებად ჯგუფებში, არიან მიჩვეულები ერთმანეთთან, თუ განცალკევება გამოიწვევს უარყოფით სტრესს ან მდედრებს თან ახლავს დამოკიდებული მზარდი.

2. ტრანსპორტირება

2.1. სივრცე სულ მცირე უნდა შეესაბამებოდეს ამ დანართის VII თავში მითითებულ ცხოველებთან და სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებით დადგენილ მოთხოვნებს.

2.2. შინაური ცხენისებრები, გარდა ფაშატისა, რომლებიც მგზავრობენ თავიანთ კვიცთან/ჩოჩორთან ერთად, უნდა გადაიყვანონ ცალკეულ საკანში/კაბინაში, როდესაც ტრანსპორტი იტვირთება ჩასატვირთ-გადმოსატვირთ გემზე. სააგენტოს გადაწყვეტილებით დასაშვებია ამ მოთხოვნის გაუთვალისწინებლობა.

2.3. ცხენისებრების ტრანსპორტირება არ შეიძლება მრავალსართულიანი ტრანსპორტით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ცხოველები დატვირთულია ყველაზე დაბალ სართულზე და ზედა სართულზე არ არის ცხოველები. კუპის მინიმალური შიდა სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 75 სმ-ით მაღალი, ვიდრე ყველაზე მაღალი ცხოველის მინდაოს სიმაღლე.

2.4. დაუშვებელია ოთხზე მეტი ინდივიდის ჯგუფურად ტრანსპორტირება გაუხედნავი ცხენისებრების შემთხვევაში.

2.5. ამ თავის 1.10 - 1.13 ქვეპუნქტების შესაბამისი ცვლილებები ვრცელდება სატრანსპორტო საშუალებებზეც.

2.6. უზრუნველყოფილი უნდა იყოს საკმარისი ვენტილაცია ცხოველების მოთხოვნილებების სრულად დაკმაყოფილებისათვის, განსაკუთრებით გადასაყვანი ცხოველების რაოდენობის, ტიპისა და მგზავრობის დროს მოსალოდნელი ამინდის პირობების გათვალისწინებით. კონტეინერები უნდა ინახებოდეს ისე, რომ ხელი არ შეუშალოს მათ ვენტილაციას.

2.7. ტრანსპორტირების დროს ცხოველებს უნდა შესთავაზონ მათი სახეობისა და ასაკის შესაბამისი საკვები, წყალი და დასვენების შესაძლებლობა, შესაბამისი ინტერვალებით და განსაკუთრებით, როგორც ეს მითითებულია ამ დანართის V თავში. თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, ძუძუმწოვრები და ფრინველები უნდა იკვებებოდეს და დაწყურდეს სულ მცირე 24 საათში ერთხელ. წყალი და საკვები უნდა იყოს კარგი ხარისხის და მიეწოდოს ცხოველებს ისე, რომ მინიმუმამდე დაიყვანს დაბინძურებას. სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ცხოველების მოთხოვნილებას, მიეჩვიონ გამოკვებისა და დაწყურების რეჟიმს.

თავი IV

დამატებითი მოთხოვნები მეცხოველეობაში გამოყენებული გემებისთვის ან გემებისთვის, რომლებიც ახორციელებენ საზღვაო კონტეინერების ტრანსპორტირებას

ნაწილი 1

კონსტრუქციასა და აღჭურვილობასთან დაკავშირებული მოთხოვნები მეცხოველეობაში გამოყენებული გემებისთვის

გალიის რელსების და გემბანის სიმტკიცე უნდა შეესაბამებოდეს ტრანსპორტირებულ ცხოველებს. გალიის რელსების და გემბანების სიმტკიცის გამოთვლები უნდა შემოწმდეს მეცხოველეობაში გამოყენებული გემის მშენებლობისას ან გადაკეთებისას.

2. კუპეები, რითაც ცხოველები უნდა გადაიყვანონ, აღჭურვილი უნდა იყოს იძულებითი ვენტილაციის სისტემით, რომელიც იძლევა საკმარის სიმძლავრეს ჰაერის მთელი მოცულობის შესაცვლელად შემდეგნაირად:

ა) 40 ჯერადი ჰაერის ცვლილება საათში, თუ კუპე სრულად არის დახურული და სუფთა სიმაღლე ნაკლებია ან ტოლია 2,30 მეტრზე;

ბ) 30 ჯერადი ჰაერის ცვლილება საათში, თუ კუპე სრულად არის დახურული და სუფთა სიმაღლე 2,30 მეტრზე მეტია;

გ) ზემოაღნიშნული შესაბამისი სიმძლავრის 75%, თუ კუპე ნაწილობრივ დახურულია.

3. მტკნარი წყლის შესანახი ან წარმოების სიმძლავრე უნდა შეესაბამებოდეს ამ დანართის VI თავში დადგენილ წყლის მოთხოვნებს, გადასაყვანი ცხოველების მაქსიმალური რაოდენობისა და სახეობის, აგრეთვე დაგეგმილი მგზავრობის მაქსიმალური ხანგრძლივობის გათვალისწინებით.

4. მტკნარი წყლის სისტემას უნდა შეეძლოს მტკნარი წყლის უწყვეტი მიწოდება მეცხოველეობის თითოეულ ზონაში და საკმარისი კონტეინერი უნდა იყოს ხელმისაწვდომი, რათა ყველა ცხოველს ჰქონდეს მტკნარ წყალზე მარტივი და მუდმივი წვდომა. პირველადი სატუმბი სისტემის გაუმართაობის შემთხვევაში ალტერნატიული სატუმბი მოწყობილობა ხელმისაწვდომი უნდა იყოს წყალმომარაგების უზრუნველსაყოფად.

5. სადრენაჟო სისტემა უნდა იყოს შესაბამისი სიმძლავრის მქონე გალიებიდან და გემბანიდან სითხეების გადინებისთვის ყველა პირობებში. სანიაღვრე მილებმა და არხებმა უნდა შეაგროვოს სითხეები ჭაში ან ავზებში, საიდანაც ჩამდინარე წყლები შეიძლება იქნეს გადმოქაჩული ტუმბოების ან ეჟექტორების საშუალებით. ალტერნატიული სატუმბი მოწყობილობა ხელმისაწვდომი უნდა იყოს დრენაჟის უზრუნველსაყოფად პირველადი სატუმბი სისტემის გაუმართაობის შემთხვევაში.

6. მეცხოველეობისათვის განკუთვნილი ადგილები, გადასასვლელები და პანდუსები უნდა იყოს უზრუნველყოფილი საკმარისი განათებით. ავარიული განათება ხელმისაწვდომი უნდა იყოს ძირითადი ელექტრული დანადგარის გაუმართაობის შემთხვევაში.

უზრუნველყოფილი უნდა იყოს საკმარისი პორტატული განათება, რათა გამყოლმა შეძლოს ცხოველების ადეკვატური შემოწმება და მოვლა.

7. ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა სათანადოდ უნდა იყოს დამონტაჟებული მეცხოველეობისათვის განკუთვნილ ყველა ზონაში და ამ ზონაში სახანძრო აღჭურვილობა უნდა შეესაბამებოდეს უახლეს საერთაშორისო კონვენციას ზღვაზე სიცოცხლის უსაფრთხოების (SOLAS) სტანდარტებს ხანძარსაწინააღმდეგო, ხანძარის გამოვლენისა და ხანძრის ჩაქრობის შესახებ.

8. მეცხოველეობისათვის საჭირო მონიტორინგის, კონტროლისა და განგაშის შემდეგი სისტემებით უნდა იყოს მესაჭის ჯიხური აღჭურვილი:

ა) ვენტილაცია;

ბ) მტკნარი წყლის მიწოდება და დრენაჟი;

გ) განათება;

დ) საჭიროების შემთხვევაში, მტკნარი წყლის წარმოება.

9. მეცხოველეობაში გამოყენებული გემების ნორმალური ფუნქციონირების პირობებში, ელექტროენერგიის პირველადი წყარო უნდა იყოს საკმარისი იმისათვის, რომ უზრუნველყოს ამ თავის მე-2, მე-4, მე-5 და მე-6 ქვეპუნქტებში მითითებული მეცხოველეობის სისტემები უწყვეტი ელექტროენერგიით. ელექტროენერგიის მეორეული წყარო საკმარისი უნდა იყოს ენერგიის პირველადი წყაროს შესაცვლელად უწყვეტად სამი დღის განმავლობაში.

ნაწილი II

საკვების და წყლის მიწოდება მეცხოველეობაში გამოყენებულ გემებზე ან გემებზე, რომლებიც ახორციელებენ ზღვის კონტეინერების ტრანსპორტირებას

მეცხოველეობაში გამოყენებულმა გემებმა ან გემებმა, რომლებიც ახორციელებენ საზღვაო კონტეინერების ტრანსპორტირებას შინაური ცხენისებრების და მსხვილფეხა საქონელის, ცხვრის, თხისა და ღორის სახეობების შინაური ცხოველების, 24 საათზე მეტი ხანგრძლივობის მგზავრობით, გამგზავრების მომენტიდან უნდა ჰქონდეთ საკმარისი ქვეშსაგები, აგრეთვე საკმარისი საკვები და წყალი, რომ დაფაროს ამ თავის ცხრილ N1-ით განსაზღვრული მინიმალური დღიური მარაგის მოთხოვნა საკვებსა და წყალთან დაკავშირებით გამიზნული მგზავრობისთვის, პლუს 25% ან სამი დღის სათადარიგო მარაგის საკვები და წყალი (რომელიც უფრო მეტი გამოდის).

ცხრილი N1

ცხოველის საკვებისა და წყლის მინიმალური დღიური მარაგი მეცხოველეობაში გამოყენებული გემებზე ან გემებზე, რომლებიც ახორციელებენ საზღვაო კონტეინერების ტრანსპორტირებას

კატეგორია	ცხოველის საკვები (ცხოველის ცოცხალი წონის %)		მტკნარი წყალი (თითოეულ ცხოველზე ლიტრა) (1)
	უხეში საკვები	ცხოველის კონცეტრირებული საკვები	
მსხვილფეხა საქონელი და ცხენისებრები	2	1,6	45
ცხვარი	2	1,8	4
ღორი	—	3	10
(1) მე-4 სვეტში განსაზღვრული წყლის მარაგის მინიმალური მოთხოვნა შეიძლება ჩანაცვლდეს ყველა სახეობისთვის ცოცხალი ცხოველების წონის 10%-ით.			

უხეში საკვები შეიძლება ჩანაცვლდეს კონცეტრირებული საკვებით და პირიქით. ამასთან, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ცხოველთა გარკვეული კატეგორიის საჭიროებებს, მიეჩვიონ საკვების შეცვლას მათ მეტაბოლურ საჭიროებებიდან გამომდინარე.

თავი V

კვებისა და დაწყურების შუალედები, მგზავრობის ხანგრძლივობა და დასვენების პერიოდი

1. შინაური ცხენისებრების, მსხვილფეხა საქონლის, ცხვრის, თხისა და ღორის შინაური სახეობის ცხოველები

1.1. ამ ნაწილში დადგენილი მოთხოვნები ვრცელდება შინაური ცხენისებრების, გარდა რეგისტრირებულებისა, გადაადგილებაზე, მსხვილფეხა საქონლის, ცხვრის, თხისა და ღორის შინაური სახეობის ცხოველების გადაადგილებაზე, გარდა მათი საჰაერო ტრანსპორტირებისა.

1.2. ამ თავის 1.1 ქვეპუნქტით განსაზღვრული სახეობის ცხოველების მგზავრობის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს რვა საათს.

1.3. ამ თავის 1.2 ქვეპუნქტი განსაზღვრული მგზავრობის მაქსიმალური ხანგრძლივობა შეიძლება გახანგრძლივდეს ამ დანართის VI თავით განსაზღვრული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

1.4. დაწყურებისა და კვების ინტერვალები, მგზავრობის ხანგრძლივობა და დასვენების პერიოდები საგზაო ტრანსპორტის გამოყენებისას, რომლებიც აკმაყოფილებენ 1.3 პუნქტის მოთხოვნებს განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) მაწოვარ ხბოს, ბატკანს და კვიცს/ჩოჩორს, რომლებიც ჯერ კიდევ რძის დიეტაზე იმყოფებიან და მაწოვარ გოჭს, ცხრა საათის მგზავრობის შემდეგ, უნდა მიეცეთ დასვენების პერიოდი სულ მცირე ერთი საათის განმავლობაში, განსაკუთრებით სითხის მისაცემად და თუ საჭიროა საკვები. ამ დასვენების პერიოდის შემდეგ მათი ტრანსპორტირება შესაძლებელია კიდევ ცხრა საათის განმავლობაში;

ბ) ღორების ტრანსპორტირება შესაძლებელია მაქსიმუმ 24 საათის განმავლობაში. მგზავრობის დროს მათ უნდა ჰქონდეთ უწყვეტი წვდომა წყალზე;

გ) შინაური ცხენისებრების ტრანსპორტირება შესაძლებელია მაქსიმუმ 24 საათის განმავლობაში. მგზავრობის დროს მათ უნდა მიეცეთ სითხე და საჭიროების შემთხვევაში, საკვები ყოველ რვა საათში ერთხელ;

დ) ამ თავის 1.1 ქვეპუნქტში მითითებული სახეობის გარდა ყველა სხვა ცხოველის 14 საათიანი მგზავრობის შემდეგ დასვენების პერიოდი უნდა იყოს სულ მცირე ერთი საათი, რათა მათ მიეცეთ სითხე და საჭიროების შემთხვევაში საკვები. ამ დასვენების პერიოდის შემდეგ, მათი ტრანსპორტირება შესაძლებელია კიდევ 14 საათის განმავლობაში.

1.5. მგზავრობისათვის განსაზღვრული დროის შემდეგ, ცხოველები უნდა ჩამოიტვირთოს, გამოიკვებონ, დაწყურდნენ და დაისვენონ სულ მცირე 24 საათი.

1.6. ცხოველები არ უნდა გადაიყვანონ მატარებლით, თუ მგზავრობის მაქსიმალური ხანგრძლივობა აღემატება ამ თავის 1.2 ქვეპუნქტით განსაზღვრულ დროს. თუმცა, ამ თავის 1.4 ქვეპუნქტში მითითებული მგზავრობის ხანგრძლივობა უნდა იქნეს გამოყენებული ამ თავის 1.3 და 1.4 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირობების (გარდა დასვენების პერიოდებისა) დაცვის შემთხვევაში.

1.7. ცხოველების ტრანსპორტირება არ შეიძლება ზღვით, თუ მგზავრობის მაქსიმალური ხანგრძლივობა აღემატება ამ თავის 1.2 ქვეპუნქტით განსაზღვრულ დროს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ თავის 1.3 და 1.4 ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირობები, გარდა მგზავრობის ხანგრძლივობისა და დასვენების პერიოდებისა, დაცულია.

1.8. ცხოველების ინტერესებიდან გამომდინარე, ამ თავის 1.3 და 1.4 ქვეპუნქტებით განსაზღვრული მგზავრობის ხანგრძლივობა შეიძლება გახანგრძლივდეს ორი საათით, განსაკუთრებით დანიშნულების ადგილის სიახლოვის გათვალისწინებით.

1.9. ამ თავის 1.3 – 1.8 ქვეპუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით, დასაშვებია მგზავრობის მაქსიმალური დრო - რვა საათი სასაკლაოებისთვის განკუთვნილი ცხოველების ტრანსპორტირებისთვის, სადაც ტრანსპორტირება ხორციელდება ექსკლუზიურად გამგზავრების ადგილიდან დანიშნულების ადგილზე ქვეყნის ტერიტორიაზე.

2. სხვა სახეობები

2.1. ფრინველის, შინაური ჩიტისა და შინაური კურდღლისთვის შესაფერისი საკვები და წყალი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ადეკვატური რაოდენობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მგზავრობა გრძელდება:

ა) 12 საათი ჩატვირთვისა და გადმოტვირთვის დროის უგულებელყოფით ან

ბ) 24 საათი ყველა სახეობის ქათმისთვის, იმ პირობით, რომ იგი დასრულდება გამოჩეკვიდან 72 საათის განმავლობაში.

2.2. ტრანსპორტირებას დაქვემდებარებული ძაღლებსა და კატებს უნდა კვებავდნენ არაუმეტეს 24 საათის ინტერვალით და დააწყურონ არაუმეტეს რვა საათის ინტერვალით. უნდა იყოს მკაფიო წერილობითი ინსტრუქციები კვებისა და დაწყურების შესახებ.

2.3. სხვა სახეობების, გარდა ამ თავის 2.1 ან 2.2 ქვეპუნქტებით განსაზღვრულისა, ტრანსპორტირება უნდა მოხდეს კვებისა და დაწყურების შესახებ წერილობითი ინსტრუქციის შესაბამისად და ნებისმიერი სპეციალური მოვლის გათვალისწინებით.

თავი VI

დამატებითი მოთხოვნები შინაური ცხენისებრებისა და მსხვილფეხა საქონლის, ცხვრის, თხისა და ღორის შინაური სახეობის ცხოველების ხანგრძლივი მგზავრობისთვის

1. ყველა ტიპის ხანგრძლივი მგზავრობა

ჭერი

1.1. სატრანსპორტო საშუალება აღჭურვილი უნდა იყოს ღია ფერის ჭერით და უნდა იყოს სათანადოდ იზოლირებული.

იატაკი და ქვეშსაგები

1.2. ცხოველებს უნდა მიეწოდოს შესაბამისი ქვეშსაგები ან ექვივალენტური მასალა, რომელიც უზრუნველყოფს სახეობის შესაბამისს კომფორტს, ტრანსპორტირებადი ცხოველების რაოდენობას, მგზავრობის ხანგრძლივობას და ამინდს. ამ მასალამ უნდა უზრუნველყოს შარდისა და განავლის ადექვატური შეწოვა.

ცხოველის საკვები

1.3. სატრანსპორტო საშუალებებს უნდა ჰქონდეთ მგზავრობას დაქვემდებარებული ცხოველების კვების მოთხოვნების შესაბამისი საკვების საკმარისი რაოდენობა. საკვები უნდა იყოს დაცული ამინდისა და დამაბინძურებლებისგან, როგორიცაა მტვერი, საწვავი, გამონაბოლქვი აირები და ცხოველების შარდი და ფეკალიები.

1.4. როდესაც სპეციალური კვების მოწყობილობა გამოიყენება ცხოველების გამოსაკვებად, ეს აღჭურვილობა გადატანილი უნდა იქნეს სატრანსპორტო საშუალებაში.

1.5. ამ თავის 1.4 ქვეპუნქტში მითითებული კვების მოწყობილობის გამოყენებისას მისი გადატრიალების თავიდან ასაცილებლად, საჭიროების შემთხვევაში, უნდა დამაგრდეს სატრანსპორტო საშუალებაზე. როდესაც სატრანსპორტო საშუალება მოძრაობს და როდესაც მოწყობილობა არ გამოიყენება, ის უნდა ინახებოდეს ცხოველებისგან განცალკევებით.

ტიხრები

1.6. ცხენისებრების ტრანსპორტირება უნდა მოხდეს ცალკეულ საკანში/კაბინაში, გარდა ფაშატისა, რომელიც მგზავრობს კვიცთნ/ჩოჩორთან ერთად.

1.7. სატრანსპორტო საშუალება უნდა იყოს აღჭურვილი ტიხრებით, რათა შეიქმნას ცალკეული კუპე, ხოლო ყველა ცხოველს წყალზე უნდა ჰქონდეს თავისუფალი წვდომა.

1.8. ტიხრები უნდა იყოს აგებული ისე, რომ შესაძლებელი იყოს სხვადასხვა პოზიციაზე განთავსება ისე, რომ კუპის ზომა ადაპტირებული იყოს კონკრეტულ მოთხოვნებთან და ცხოველების ტიპზე, ზომასა და რაოდენობაზე.

მინიმალური კრიტერიუმები ზოგიერთი სახეობებისთვის

1.9. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დედასთან ერთადაა, ხანგრძლივი მგზავრობა ნებადართულია მხოლოდ შინაური ცხენისებრებისთვის და მსხვილფეხა საქონლის და ღორის შინაური სახეობის ცხოველებისთვის, თუ:

- შინაური ცხენისებრები ოთხ თვეზე მეტი ასაკისაა, გარდა რეგისტრირებული ცხენისებრებისა;

- ხბოები თოთხმეტ დღეზე მეტი ასაკისაა;

- ღორები 10 კგ-ზე მეტია.

გაუხედნავი ცხენები არ უნდა დაექვემდებარონ ხანგრძლივ მგზავრობას.

2. წყალმომარაგება საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტისათვის ან საზღვაო კონტეინერებისათვის

2.1. სატრანსპორტო საშუალებები და საზღვაო კონტეინერები აღჭურვილი უნდა იყოს წყლის მარაგით, რომელიც შესაძლებელს გახდის გამყოლმა მყისიერად მიაწოდოს საჭიროების შემთხვევაში წყალი თითოეულ ცხოველს მგზავრობის დროს.

2.2. დასაწყურებელი მოწყობილობა უნდა იყოს კარგ მუშა მდგომარეობაში და სათანადოდ დაპროექტებული და განლაგებული იმ კატეგორიის ცხოველებისთვის, რომლებიც უნდა დაწყურდეს ტრანსპორტის ბორტზე.

2.3. წყლის ავზების ჯამური ტევადობა თითოეული სატრანსპორტო საშუალებისთვის უნდა იყოს მისი მაქსიმალური დატვირთვისას არანაკლებ 1,5%. წყლის ავზები ისე უნდა იყოს დაპროექტებული, რომ მათი დრენაჟი და გაწმენდა მოხდეს ყოველი მგზავრობის შემდეგ და უნდა იყოს დამონტაჟებული სისტემით, რომელიც საშუალებას იძლევა წყლის დონის შემოწმებისას. ისინი დაკავშირებული უნდა იყოს კუპეების სასმელ მოწყობილობებთან და შენარჩუნებული უნდა იყოს კარგ მუშა მდგომარეობაში.

2.4. ამ თავის 2.3 ქვეპუნქტი დასაშვებია არ გავრცელდეს ზღვის კონტეინერებზე, რომლებიც გამოიყენება ექსკლუზიურად გემებზე, რომლებიც წყლის მომარაგებას უზრუნველყოფს გემის საკუთარი წყლის ავზებიდან.

3. საგზაო ტრანსპორტის ვენტილაცია და ტემპერატურის მონიტორინგი

3.1. საგზაო ტრანსპორტის სავენტილაციო სისტემები ისე უნდა იყოს დაპროექტებული, აგებული და მოვლილი (იქნება ეს სტაციონარული თუ მოძრავი), ისე რომ მგზავრობისას ნებისმიერ დროს, შეინარჩუნონ ტემპერატურის დიაპაზონი 5°C-დან 30°C სატრანსპორტო საშუალებებში, ყველა ცხოველისთვის, +/- 5°C ტოლერანტობით, გარე ტემპერატურის შესაბამისად.

3.2. სავენტილაციო სისტემას უნდა შეეძლოს მთელ სათავსოში ჰაერის მინიმალური ნაკადის თანაბარი განაწილება სასარგებლო დატვირთვის 60 $მ^3$/სთ/კნ ნომინალური მწარმოებლობის დროს. მას უნდა შეეძლოს იმუშაოს სულ მცირე 4 საათის განმავლობაში, ავტომობილის ძრავისგან დამოუკიდებლად.

3.3. საგზაო ტრანსპორტი აღჭურვილი უნდა იყოს ტემპერატურის მონიტორინგის სისტემით და ასეთი მონაცემების აღრიცხვის საშუალებებით. სენსორები უნდა განთავსდეს

სატვირთო მანქანის იმ ნაწილში, რომელზეც, მისი დიზაინის მახასიათებლებიდან გამომდინარე, სავარაუდოდ ზემოქმედებს ყველაზე ცუდი კლიმატური პირობები. ამ გზით მიღებული ტემპერატურის ჩანაწერები უნდა იყოს დათარიღებული და ხელმისაწვდომი სააგენტოსთვის მოთხოვნის შემთხვევაში.

3.4. საგზაო ტრანსპორტი უნდა იყოს აღჭურვილი გამაფრთხილებელი სისტემით, რათა გააფრთხილოს მძღოლი, როდესაც ტემპერატურა კუპეში, სადაც ცხოველები არიან განთავსებული, მიაღწევს მაქსიმალურ ან მინიმალურ ზღვარს.

4. ნავიგაციის სისტემა

4.1. საგზაო ტრანსპორტი, რომელიც ექსპლუატაციაში შევიდა პირველად 2028 წლის 1 იანვრიდან და ყველა საგზაო ტრანსპორტი 2030 წლის 1 იანვრიდან აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი ნავიგაციის სისტემით, რომელიც საშუალებას იძლევა ჩაწეროს და უზრუნველყოს ამ წესის დანართი N2-ის მე-4 ნაწილით განსაზღვრული მგზავრობის ჟურნალისთვის განსაზღვრული ინფორმაციის ექვივალენტი და ინფორმაციას ჩასატვირთვის გახსნის/დახურვის შესახებ.

თავი VII

სივრცე

ცხოველებისთვის სივრცესთან დაკავშირებული მოთხოვნები უნდა აკმაყოფილებდეს სულ მცირე შემდეგს:

ა. შინაური ცხენისებრებისთვის

რკინიგზით ტრანსპორტირებისას

მოზარდი ცხენები	1,75 მ² (0,7 × 2,5 მ) (1)
ახალგაზრდა ცხენები (6 — 24თვის) (48 საათამდე მგზავრობისათვის)	1,2 მ² (0,6 × 2 მ)
ახალგაზრდა ცხენები (6 — 24 თვის) (48 საათზე მეტი მგზავრობისთვის)	2,4 მ² (1,2 × 2 მ)
პონიs (144 სმ-მდე)	1 მ² (0,6 × 1,8 მ)
კვიცი/ჩოჩორი (0 — 6 თვე)	1,4 მ² (1 × 1,4 მ)
(*1) ვაგონების სტანდარტული გამოსაყენებელი სიგანეა 2-დან 2 მ-მდე	

<u>შენიშვნა:</u> ხანგრძლივი მგზავრობის დროს კვიცს/ჩოჩორს და ახალგაზრდა ცხენებს უნდა შეეძლოთ დაწოლა.

ეს მაჩვენებლები შეიძლება განსხვავდებოდეს მაქსიმუმ 10%-ით ზრდასრული ცხენებისა და პონებისთვის და მაქსიმუმ 20%-ით ახალგაზრდა ცხენებისა და კვიცი/ჩოჩორისთვის, რაც დამოკიდებულია არა მხოლოდ ცხენების წონაზე და ზომაზე, არამედ მათ ფიზიკურ მდგომარეობაზე, მეტეოროლოგიურ პირობებზე და სავარაუდო მგზავრობის ხანგრძლივობაზე.

გზით ტრანსპორტირებისას

მოზარდი ცხენები	1,75 მ² (0,7 × 2,5 მ)
ახალგაზრდა ცხენები (6 — 24თვის) (48 საათამდე მგზავრობისათვის)	1,2 მ² (0,6 × 2 მ)
ახალგაზრდა ცხენები (6 — 24 თვის) (48 საათზე მეტი მგზავრობისთვის)	2,4 მ² (1,2 × 2 მ)
პონიs (144 სმ-მდე)	1 მ² (0,6 × 1,8 მ)
კვიცი/ჩოჩორი (0 — 6 თვე)	1,4 მ² (1 × 1,4 მ)

<u>შენიშვნა</u>: ხანგრძლივი მგზავრობის დროს კვიცს/ჩოჩორს და ახალგაზრდა ცხენებს უნდა შეეძლოთ დაწოლა

ეს მაჩვენებლები შეიძლება განსხვავდებოდეს მაქსიმუმ 10%-ით ზრდასრული ცხენებისა და პონებისთვის და მაქსიმუმ 20%-ით ახალგაზრდა ცხენებისა და კვიცი/ჩოჩორისთვის, რაც დამოკიდებულია არა მხოლოდ ცხენების წონაზე და ზომაზე, არამედ მათ ფიზიკურ მდგომარეობაზე, მეტეოროლოგიურ პირობებზე და სავარაუდო მგზავრობის ხანგრძლივობაზე.

საჰაერო ტრანსპორტირებისას

ცხენების ჩატვირთვის სიმჭიდროვე ზედაპირის ფართთან მიმართებაში

0 — 100 კგ	0,42 მ²
100 — 200 კგ	0,66 მ²
200 — 300 კგ	0,87 მ²
300 — 400 კგ	1,04 მ²
400 — 500 კგ	1,19 მ²
500 — 600 კგ	1,34 მ²

600 — 700 კგ	1,51 მ²
700 — 800 კგ	1,73 მ²

ზღვით ტრანსპორტირებისას

ცოცხალი წონა კგ-ში	მ²/ცხოველი
200 — 300	0,90 — 1,175
300 — 400	1,175 — 1,45
400 — 500	1,45 — 1,725
500 — 600	1,725 — 2
600 — 700	2 — 2,25

ბ. მსხვილფეხა საქონელი

რკინიგზით ტრანსპორტირებისას

კატეგორია	მიახლოებითი წონა (კგ-ში)	ფართი მ²/ცხოველი
პატარა ხბოები	50	0,30 to 0,40
საშუალო ზომის ხბოები	110	0,40 to 0,70
მძიმე წონის ხბოები	200	0,70 to 0,95
სასუალო ზომის მსხვილფეხა საქონელი	325	0,95 to 1,30
მძიმე წონის მსხვილფეხა საქონლი	550	1,30 to 1,60
ძალიან მძიმე წონის მსხვილფეხა საქონელი	> 700	> 1,60

ეს მაჩვენებლები შეიძლება განსხვავდებოდეს, რაც დამოკიდებულია არა მხოლოდ ცხოველების წონასა და ზომაზე, არამედ მათ ფიზიკურ მდგომარეობაზე, მეტეოროლოგიურ პირობებზე და სავარაუდო მგზავრობის ხანგრძლივობაზე.

გზით ტრანსპორტირებისას

კატეგორია	მიახლოებითი წონა კგ-ში	ფართი მ²/ცხოველი
პატარა ხბოები	50	0,30 to 0,40
საშუალო ზომის ხბოები	110	0,40 to 0,70
მძიმე წონის ხბოები	200	0,70 to 0,95
სასუალო ზომის მსხვილფეხა საქონელი	325	0,95 to 1,30
მძიმე წონის მსხვილფეხა საქონლი	550	1,30 to 1,60
ძალიან მძიმე წონის მსხვილფეხა საქონელი	> 700	> 1,60

ეს მაჩვენებლები შეიძლება განსხვავდებოდეს, რაც დამოკიდებულია არა მხოლოდ ცხოველების წონასა და ზომაზე, არამედ მათ ფიზიკურ მდგომარეობაზე, მეტეოროლოგიურ პირობებზე და სავარაუდო მგზავრობის ხანგრძლივობაზე.

საჰაერო ტრანსპორტირებისას

კატეგორია	მიახლოებითი წონა კგ-ში	ფართი მ²/ცხოველი
ხბოები	50 70	0,23 0,28
მსხვილფეხა საქონელი	300 500	0,84 1,27

ზღვით ტრანსპორტირებისას

ცოცხალი წონა კგ-ში	მ²/ცხოველი
200 — 300	0,81 — 1,0575
300 — 400	1,0575 — 1,305
400 — 500	1,305 — 1,5525
500 — 600	1,5525 — 1,8
600 — 700	1,8 — 2,025

მაკე მსხვილფეხა საქონელისთვის გათვალისწინებული უნდა იქნეს 10%-ით მეტი სივრცე.

გ. ცხვარი/თხა

რკინიგზით ტრანსპორტირებისას

კატეგორია	**წონა კილოგრამებში**	**ფართი მ²/ცხოველი**
გაკრეჭილი ცხვარი	< 55	0,20 - 0,30
	> 55	> 0,30
გაუკრეჭავი ცხვარი	< 55	0,30 - 0,40
	> 55	> 0,40
მოგების წინა პერიოდში მყოფი ნერბი	< 55	0,40 - 0,50
	> 55	> 0,50
თხა	< 35	0,20 - 0,30
	35 - 55	0,30 - 0,40
	> 55	0,40 - 0,75
მოგების წინა პერიოდში მყოფი თხა	< 55	0,40 - 0,50
	> 55	> 0,50

ზემოთ მითითებული ზედაპირის ფართობი შეიძლება განსხვავდებოდეს ჯიშის, ზომის, ფიზიკური მდგომარეობისა და ცხოველების ბეწვის/მატყლის სიგრძის მიხედვით, აგრეთვე მეტეოროლოგიური პირობებისა და მგზავრობის ხანგრძლივობის მიხედვით.

გზით ტრანსპორტირებისას

კატეგორია	**წონა კგ-ში**	**ფართი მ²/ცხოველი**
26 კგ და მეტი წონის გაკრეჭილი ცხვარი და ბატკანი	< 55	0,20 - 0,30
	> 55	> 0,30

გაუკრეჭავი ცხვარი	< 55	0,30- 0,40
	> 55	> 0,40
მოგების წინა პერიოდში მყოფი ნერბი	< 55	0,40 - 0,50
	> 55	> 0,50
თხები	< 35	0,20 - 0,30
	35 to 55	0,30 - 0,40
	> 55	0,40 - 0,75
მოგების წინა პერიოდში მყოფი თხა	< 55	0,40 - 0,50
	> 55	> 0,50

ზემოთ მითითებული ზედაპირის ფართობი შეიძლება განსხვავდებოდეს ჯიშის, ზომის, ფიზიკური მდგომარეობისა და ცხოველების ბეწვის/მატყლის სიგრძის მიხედვით, აგრეთვე მეტეოროლოგიური პირობებისა და მგზავრობის ხანგრძლივობის მიხედვით.

მითითება: პატარა ბატკნისთვის შეიძლება იყოს 0,2 მ^2-ზე ნაკლები ფართობი თითოეულ ცხოველზე.

ჰაერით ტრანსპორტირებისას

საშუალო წონა კგ-ში	**თითოეულ ცხვარზე/თხაზე ზედაპირის ფართი (მ²)**
25	0,2
50	0,3
75	0,4

ზღვით ტრანსპორტირებისას

ცოცხალი წონა კგ-ში	**მ²/ცხოველი**
20 — 30	0,24 — 0,265
30 — 40	0,265 — 0,290
40 — 50	0,290 — 0,315

50 — 60	0,315 — 0,34
60 — 70	0,34 — 0,39

დ. ღორები

რკინიგზით და გზით ტრანსპორტირება

ყველა ღორს სულ მცირე უნდა შეეძლოს დაწოლა და თავის ბუნებრივ მდგომარეობაში დგომა.

ამ მინიმალური მოთხოვნების შესასრულებლად, დაახლოებით 100 კგ ღორების ჩატვირთვის სიმკვრივე არ უნდა აღემატებოდეს 235 კგ/$მ^2$-ს.

ღორების ჯიში, ზომა და ფიზიკური მდგომარეობა შეიძლება ნიშნავდეს, რომ ზემოთ მოცემული მინიმალური ზედაპირის ფართობი უნდა გაიზარდოს; ასევე შეიძლება საჭირო გახდეს 20%-იანი მატება, რაც დამოკიდებულია მეტეოროლოგიურ პირობებზე და მგზავრობის ხანგრძლივობაზე.

საჰაერო ტრანსპორტირება

ჩატვირთვის სიმკვრივე უნდა იყოს შედარებით მაღალი, რათა თავიდან იქნას აცილებული დაზიანება აფრენის ან დაშვებისას ან ტურბულენტობის შემთხვევაში, თუმცა ყველა ცხოველს მაინც უნდა შეეძლოს დაწოლა. ჩატვირთვის სიმკვრივეზე გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული კლიმატი, მგზავრობის მთლიანი ხანგრძლივობა და ჩასვლის საათი.

საშუალო წონა	**ზედაპირის ფართი თითოეულ ღორზე**
15 კგ	0,13 $მ^2$
25 კგ	0,15 $მ^2$
50 კგ	0,35 $მ^2$
100 კგ	0,51 $მ^2$

ზღვით ტრანსპორტირებისას

ცოცხალი წონა კგ -ში	მ²/ცხოველი
10 ან ნაკლები	0,20
20	0,28
45	0,37
70	0,60
100	0,85
140	0,95
180	1,10
270	1,50

ე. ფრინველები

სიმჭიდროვე გამოიყენება კონტეინერებში ფრინველის ტრანსპორტირებისთვის

სართულის მინიმალური ფართობი უნდა იყოს გათვალისწინებული შემდეგნაირად:

კატეგორია	ფართი სმ²-ში
ერთ დღიანი წიწილა	21 — 25 თითოეულ წიწილაზე
ფრინველი გარდა ერთდღიანი წიწილისა: წონა კგ-ში	**ფართი სმ² თითოეულ კგ-ზე**
< 1,6	180 — 200
1,6 - < 3	160
3 - < 5	115
> 5	105

ეს მაჩვენებლები შეიძლება განსხვავდებოდეს არა მხოლოდ ფრინველების წონისა და ზომის, არამედ მათი ფიზიკური მდგომარეობის, მეტეოროლოგიური პირობებისა და მგზავრობის სავარაუდო ხანგრძლივობის მიხედვით.

დანართი N2

მგზავრობის ჟურნალი

(ამ წესის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტსა და მე-8 მუხლის მე-2 პუნქტთან დაკავშირებით)

1. პირი, რომელიც გეგმავს ხანგრძლივ მგზავრობას, ამზადებს, ბეჭდავს და ხელს აწერს მგზავრობის ჟურნალის ყველა გვერდს ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად.

2. მგზავრობის ჟურნალი უნდა შეიცავდეს შემდეგ განყოფილებებს:

ნაწილი 1 - დაგეგმვა;

ნაწილი 2 - გამგზავრების ადგილი;

ნაწილი 3 - დანიშნულების ადგილი;

ნაწილი 4 - გადამზიდავის დეკლარაცია;

ნაწილი 5 - ანომალიის ანგარიშის ნიმუში.

მგზავრობის ჟურნალის გვერდები უნდა იყოს ერთამანეთთან მიმაგრებული.

თითოეული ნაწილის მოდელები/ნიმუშები მოცემულია ამ დანართში.

3. ორგანიზატორი ვალდებულია:

ა) თითოეული მგზავრობის ჟურნალის იდენტიფიცირება განმასხვავებელი ნომრით;

ბ) უზრუნველყოს, რომ ამ დანართის მგზავრობის ჟურნალის ნაწილი N1-ის ხელმოწერილი ასლი, სათანადოდ შევსებულია, გარდა ვეტერინარული-სერტიფიკატის ნომრებისა, რომელიც მიიღება გამგზავრებამდე ორი სამუშაო დღით ადრე გამგზავრების ადგილის სააგენტოს ტერიტორიული ორგანოდან, მის მიერ განსაზღვრული საშუალებით/გზით;

გ) შეასრულოს სააგენტოს მიერ გაცემული ინსტრუქციები;

დ) დარწმუნდეს, რომ მგზავრობის ჟურნალს აქვს ბეჭედი;

ე) უზრუნველყოს, რომ მგზავრობის ჟურნალი თან ახლდეს ცხოველებს მგზავრობის დროს დანიშნულების პუნქტამდე ან სხვა ქვეყანაში ექსპორტის შემთხვევაში, სულ მცირე, გასასვლელ პუნქტამდე.

4. მომვლელმა გამგზავრების ადგილზე და, როდესაც დანიშნულების ადგილი მდებარეობს ქვეყნის ტერიტორიაზე, დანიშნულების ადგილზე, უნდა შეავსოს და მოაწეროს ხელი

მგზავრობის ჟურნალის შესაბამის ნაწილებს. მათ უნდა აცნობონ სააგენტოს ამ წესის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, რაც შეიძლება მალე, ამ დანართი ნაწილი N5-ის ნიმუშის ფორმის გამოყენებით.

5. როდესაც დანიშნულების ადგილი განლაგებულია ქვეყნის ტერიტორიაზე, დანიშნულების ადგილზე მყოფი მომვლელები ინახავენ ამ დანართით განსაზღვრული მგზავრობის ჟურნალს, გარდა მე-4 ნაწილისა, დანიშნულების ადგილზე მისვლის დღიდან სულ მცირე სამი წლის განმავლობაში.

მგზავრობის ჟურნალი ხელმისაწვდომი უნდა იყოს სააგენტოსთვის მოთხოვნის შემთხვევაში.

6. როდესაც მგზავრობა სრულდება ქვეყნის ტერიტორიაზე, გადამზიდავმა უნდა შეავსოს და მოაწეროს ხელი ამ დანართით განსაზღვრული მგზავრობის ჟურნალის მე-4 ნაწილს.

7. თუ ცხოველების ექსპორტი ხდება სხვა ქვეყანაში, გადამზიდავმა მგზავრობის ჟურნალი უნდა გადასცეს ვეტერინარს გასასვლელ პუნქტში.

8. ამ დანართით განსაზღვრული მგზავრობის ჟურნალის ნაწილ N3-ში მითითებულმა გადამზიდავმა უნდა შეინახოს:

ა) დასრულებული მგზავრობის ჟურნალის ასლი;

ბ) შესაბამისი ჩანაწერის ფურცელი ან ამონაბეჭდი, თუ სატრანსპორტო საშუალებას უყენია თვით მწერი ტაქოგრაფი;

ამ პუნქტის ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტებში მითითებული დოკუმენტები ხელმისაწვდომი უნდა იყოს სააგენტოსთვის, რომელმაც გასცა გადამზიდავის ავტორიზაცია და მოთხოვნის შემთხვევაში, გამგზავრების ადგილის სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოსთვის, მგზავრობის დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში და ინახება, გადამზიდავის მიერ, შემოწმების დღიდან არანაკლებ სამი წლის განმავლობაში.

ამ პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტში მითითებული დოკუმენტები უბრუნდება გამგზავრების ადგილის მიხედვით, სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოს მგზავრობის დასრულებიდან 1 თვის ვადაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გამოყენებულია ამ წესის მე-6 მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული სისტემები.

ნაწილი N1 - დაგეგმა

1.1.ორგანიზატორის სახელი და მისამართი [ა] [ბ]		1.2.მგზავრობაზე პასუხისმგებელი	
		1.3.ტელეფონი/ფაქსი	
2. მგზავრობის მოსალოდნელი საერთო ხანგრძლივობა (საათი/დღე)			
2.1.გამგზავრების ადგილი და ქვეყანა			
3.2 არიღი	3.3 დრო	4.2 თარიღი	4.2 დრო
5.1 სახეობა	5.2 ცხოველთა რაოდენობა	5.3. ვეტერინარული სერტიფიკატის ნომრები	
5.4. ტვირთის სავარაუდო საერთო წონა (კგ-ში)		5.5. ტვირთისთვის განკუთვნილი საერთო სივრცე (მ^2)	

6. დაგეგმილი დასვენების, ტრანსფერის და შესასვლელი პუნქტების სია				
6.1. ცხოველის დასასვენებელი ან ტრანსფერის ადგილი (მათ შორის შესასვლელი პუნქტი)	6.2.ჩამოსვლა		6.3. ხანგრძლივობა	6.4.გადამზიდავის დასახელება და ავტორიზაციის ნომერი (თუ განსხვავდება ორგანიზატორიდან)
	დღე	დრო		

7. მე, ორგანიზატორი ვაცხადებ, რომ ვარ პასუხისმგებელი ზემოაღნიშნული მგზავრობის ორგანიზაციაზე და მივიღე ყველა ზომები მთელი მგზავრობის განმავლობაში ცხოველების ამ წესით განსაზღვრული კეთილდღეობის დაცვაზე.
8. ორგანიზატორის ხელმოწერა

[ა]ორგანიზატორი: იხილეთ ამ წესის განმარტებებში

[ბ] თუ ორგანიზატორი არის გადამზიდავი უნდა მიეთითოს ავტორიზაციის ნომერიც

ნაწილი N2 - გამგზავრების ადგილი

1. მომვლელი გამგზავრების ადგილზე - დასახელება და მისამართი (თუ განსხვავდება პირველ ნაწილში მითითებული ორგანიზატორისგან [ა]		
2. გამგზავრების ადგილი [ბ]		
3. ცხოველის პირველი ჩატვირთვის დღე და დრო [ბ]	4. ჩატვირთული ცხოველების რაოდენობა [ბ]	5. სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიკაცია
6. მე, გამგზავრების ადგილის ცხოველების მომვლელი ვაცხადებ, რომ ვესწრებოდი ცხოველების ჩატვირთვას. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია ზემოაღნიშნული ცხოველები ვარგისია ტრანსპორტირებისთვის მთელი მგზავრობის განმავლობაში ცხოველების ამ წესით განსაზღვრული კეთილდღეობის დაცვაზე.		
7. გამგზავრების ადგილის მომვლელის ხელმოწერა		
8. გამგზავრებისას დამატებითი შემოწმება		
9. გამგზავრების ადგილის ვეტერინარი (დასახელება და მისამართი)		
10. მე, ვეტერინარი ვაცხადებ, რომ ვესწრებოდი ზემოაღნიშნული ცხოველების ჩატვირთვას. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია გამგზავრების დროს აღნიშნული ცხოველები ვარგისი იყვნენ ტრანსპორტირებისთვის და მოწყობილობა და ცხოველებთან მოპყრობის პროცედურები შესაბამისობაშია ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებთან		
11. ვეტერინარის ხელმოწერა		

[ა] მომვლელი - იხილეთ ამ წესის განმარტებებში

[ბ] თუ განსხვავდება ნაწილი N1-გან

ნაწილი N3 - დანიშნულების ადგილი

1.მომვლელი დანიშნულების ადგილის/სახელმწიფო ვეტერინარი -დასახელება და მისამართი (ა)			
2.დანიშნულების ადგილი/შესამოწმებელი პუნქტი (ბ)		3. შემოწმების თარიღი და დრო	
4.შემოწმება ჩატარდა		5. შემოწმების შედეგები	
		5.1.შესაბამისობა	5.2. შენიშვნა/შენიშვნები
4.1.გადამზიდავი ავტორიზაციის თარიღი (ბ)		☐	☐
4.2. მძღოლი კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატის ნომერი		☐	☐
4.3. სატრანსპორტო საშუალება იდენტიფიკაცია (გ)		☐	☐
4.4. დასაშვები ფართი საშუალო ფართი/ცხოველი m^2-ში		☐	☐
4.5.მგზავრობის ჟურნალის ჩანაწერები და მგზავრობის ხანგრძლივობის ლიმიტები		☐	☐
4.6. ცხოველები (დააზუსტეთ თითოეული კატეგორიის რაოდენობა)			
შემოწმებულთა საერთო რაოდენობა	უვარგისი	მკვდარი	ვარგისი
6. მე, დანიშნულების ადგილზე ცხოველების მომვლელი/უფლებამოსილი ვეტერინარი ვაცხადებ, რომ შევამოწმე ცხოველების ეს ტვირთი. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია შემოწმების დროს გამოვლენილი შედეგები ჩაწერილია. ჩემთვის ცნობილია, რომ სააგენტოს უნდა ვაცნობო რამდენადაც შესაძლებელია დროულად ნებისმიერი რეზერვაციის შესახებ, რომელიც შეიძლება იყოს და ყოველ ჯერზე, როდესაც მოკვდება ცხოველი.			
7. დანიშნულების ადგილის მომვლელის ხელმოწერა/სახელმწიფო ვეტერინარი (ოფიციალური ბეჭდით)			

(ა) წაშალეთ საჭიროებისამებრ

(ბ) თუ განსხვავდება ნაწილი N1-დან

(გ) თუ განსხვავდება ნაწილი N2-დან

ნაწილი N4 - გადამზიდავის დეკლარაცია

<table>
<tr><td colspan="7">ივსება მძღოლის მიერ მგზავრობისას და ხელმისაწვდომი უნდა იყოს გამგზავრების ადგილის სააგენტოს ტერიტორიული ორგანოებისთვის დანიშნულების ადგილზე ჩასვლიდან ერთ თვეში</td></tr>
<tr><td colspan="7">არსებული მარშუტი - დასვენება, ტრანსფერი ან გამსვლელი პუნქტი</td></tr>
<tr><td rowspan="2">ადგილი და მისამართი</td><td colspan="2">ჩასვლა</td><td colspan="2">გამგზავრება</td><td rowspan="2">გაჩერების ხანგრძლივობა</td><td rowspan="2">მიზეზი</td></tr>
<tr><td>თარიღი</td><td>დრო</td><td>თარიღი</td><td>დრო</td></tr>
<tr><td></td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td colspan="6">შეთავაზებულ და არსებულ მარშუტებს შორის ნებისმიერი სხვაობის მიზეზი/სხვა</td><td>დანიშნულების ადგილზე ჩასვლის თარიღი და დრო</td></tr>
<tr><td colspan="7">მგზავრობის დროს დაზიანებული და/ან მკვდარი ცხოველების რაოდენობა და მიზეზი</td></tr>
<tr><td colspan="2">მძღოლის სახელი და ხელმოწერა</td><td colspan="5">გადამზიდავის სახელი, ავტორიზაციის ნომერი</td></tr>
<tr><td colspan="7">როგორც გადამზიდავი ვადასტურებ, რომ შესასვლელები სწორედაა მითითებული და ჩემთვის ცნობილია, რომ მგზავრობის დროს ნებისმიერი ინციდენტი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ცხოველების სიკვდილი უნდა ეცნობოს გამგზავრების ადგილის სააგენტოს ტერიტორიული ორგანოებს</td></tr>
<tr><td colspan="3">თარიღი და დრო</td><td colspan="4">გადამზიდავის ხელმოწერა</td></tr>
</table>

ნაწილი N5 - ანომალიის ანგარიშის ფორმა N

ანომალიის ანგარიშის ფორმის ასლს თან დართული პირველი ნაწილით განსაზღვრული მგზავრობის ჟურნალის ასლი უნდა გადაეცეს კომპეტენტურ ორგანოს

1. **დეკლარანტის** დასახელება, საკუთრების უფლება და მისამართი	
2. ანომალიის დაფიქსირების ადგილი	3. ანომალიის დაფიქსირების თარიღი და დრო
4. **ანომალიის ტიპი** ამ წესის შესაბამისად	
4.1.ტრანსპორტირებისთვის ვარგისია [1] ☐	4.6.დასაშვები ფართი [6] ☐
4.2.სატრანსპორტო საშუალება [2] ☐	a. გადამზიდავის ავტორიზაცია [7] ☐
4.3.ტრანსპორტირების პრაქტიკა [3] ☐	4.8.მძღოლის კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატი [8] ☐
4.4.მგზავრობის ხანგრძლივობის ლიმიტი [4] ☐	4.9.მგზავრობის ჟურნალის ჩანაწერები ☐
4.5.ხანგრძლივი მგზავრობის დამატებითი მოთხოვნები [5] ☐	4.10. სხვა ☐
4.11. **შენიშვნები**	
5. მე ვაცხადებ, რომ შევამოწმე ზემოაღნიშნული ცხოველების ტვირთი და ანგარიშში დეტალურად მივუთითე შენიშვნები ამ ჩანაწერებში ამ წესის შესაბამისობასთან დაკავშირებით	
6.სააგენტოსადმი დეკლარაციის წარდგენის თარიღი და დრო	7. **დეკლარანტის** ხელმოწერა

(1) დანართი N1-ის თავი 1 და თავი VI-ის 1.9 ქვეპუნქტი

(2) დანართი N1-ის თავი II და IV

(3) დანართი N1-ის თავი III

(4) დანართი N1-ის თავი V

(5) დანართი N1-ის თავი VI

(6) დანართი N1-ის თავი VII

(7) მე-6 მუხლი

(8) მე-6 მუხლის მე-5 პუნქტი

დანართი N3

ფორმები

(ამ წესის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტთან, მე-11 მუხლის მე-2 პუნქტთან, მე-13 მუხლის მე-2 პუნქტთან და მე-14 მუხლის მე-2 პუნქტთან დაკავშირებით)

თავი I

ამ წესის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად გადამზიდავის ავტორიზაცია

<table>
<tr><td colspan="3">1. გადამზიდავის ავტორიზაციის N</td></tr>
<tr><td colspan="2">2. გადამზიდავის იდენტიფიკაცია
2.1.კომპანიის დასახელება</td><td>ტიპი 1
არ გამოდგება ხანგრძლივი მგზავრობისათვის</td></tr>
<tr><td colspan="3">2.2.მისამართი</td></tr>
<tr><td>2.3.ქალაქი</td><td>2.4.საფოსტო კოდი</td><td></td></tr>
<tr><td>2.5.ტელეფონი</td><td>2.6.ფაქსი</td><td>2.7.მეილი</td></tr>
<tr><td colspan="3">3. ავტორიზაცია შეზღუდულია კონკრეტულ
ცხოველების ტიპზე ☐ სატრანსპორტი საშუალებაზე ☐</td></tr>
<tr><td colspan="3">დააზუსტეთ აქ</td></tr>
<tr><td colspan="3">ძალაშია.....</td></tr>
<tr><td colspan="3">4. ავტორიზაციის გამცემი ორგანო
4.1.გამცემი ორგანოს დასახელება და მისამართი</td></tr>
<tr><td>4.2.ტელეფონი</td><td>4.3.ფაქსი</td><td>4.4.მეილი</td></tr>
<tr><td>4.5.თარიღი</td><td>4.6.ადგილი</td><td rowspan="2">4.7.ოფიციალური ბეჭედი</td></tr>
<tr><td colspan="2">4.8.უფლებამოსილი პირის სახელი და ხელმოწერა</td></tr>
</table>

თავი II

ამ წესის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად გადამზიდავის ავტორიზაცია

<table>
<tr><td colspan="3">1. გადამზიდავის ავტორიზაციის N</td></tr>
<tr><td colspan="2">2. გადამზიდავის იდენტიფიკაცია
2.1.კომპანიის დასახელება</td><td>ტიპი II
გამოდგება ყველა ტიპის მგზავრობისთვის მათ შორის ხანგრძლივი მგზავრობისათვის</td></tr>
<tr><td colspan="3">2.2.მისამართი</td></tr>
<tr><td>2.3.ქალაქი</td><td>2.4.საფოსტო კოდი</td><td></td></tr>
<tr><td>2.5.ტელეფონი</td><td>2.6.ფაქსი</td><td>2.7.მეილი</td></tr>
<tr><td colspan="3">3. ავტორიზაცია შეზღუდულია კონკრეტულ
ცხოველების ტიპზე ☐ სატრანსპორტი საშუალებაზე ☐</td></tr>
<tr><td colspan="3">დააზუსტეთ აქ</td></tr>
<tr><td colspan="3">ძალაშია .....</td></tr>
<tr><td colspan="3">4. ავტორიზაციის გამცემი ორგანო
4.1.გამცემი ორგანოს დასახელება და მისამართი</td></tr>
<tr><td>4.2.ტელეფონი</td><td>4.3.ფაქსი</td><td>4.4.მეილი</td></tr>
<tr><td>4.5.თარიღი</td><td>4.6.ადგილი</td><td rowspan="2">4.7.ოფიციალური ბეჭედი</td></tr>
<tr><td colspan="2">4.8.უფლებამოსილი პირის სახელი და ხელმოწერა</td></tr>
</table>

თავი III

ამ წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მძღოლისა და გამყოლის კომპეტენციის სერტიფიკატი

1. **მძღოლის/გამყოლის** [1] **იდენტიფიკაცია** 1.1. გვარი

1.2. სახელი		
1.3. დაბადების თარიღი	1.4.დაბადების ადგილი და ქვეყანა	1.5.ეროვნება
2. სერტიფიკატის ნომერი		
2.1.ავტორიზაცია ძალაშია - მდე		
3. ავტორიზაციის გამცემი ორგანო 3.1.გამცემი ორგანოს დასახელება და მისამართი		
3.2.ტელეფონი	3.3.ფაქსი	3.4.მეილი
3.5.თარიღი	3.6.ადგილი	3.7.ოფიციალური ბეჭედი
3.8.უფლებამოსილი პირის სახელი და ხელმოწერა		

(1) წაშალეთ საჭიროებისამებრ

თავი IV

ამ წესის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ხანგრძლივი მგზავრობისათვის საგზაო სატრანსპორტო საშუალების სანიტარიული მოწმობა

1. სანიტარიული მოწმობის ნომერი 1.1.აღჭურვილია ნავიგაციის სისტემით დიახ☐ არა☐
2. ტრანსპორტირებაზე ნებადართული ცხოველების ტიპი
3. ფართი m^2-ში
4. ავტორიზაცია ძალაშია ...მდე
5. მოწმობის გამცემი ორგანო 5.1.გამცემი ორგანოს დასახელება და მისამართი

<table>
<tr><td>5.2.ტელეფონი</td><td>5.3.ფაქსი</td><td>5.4.მეილი</td></tr>
<tr><td>5.5.თარიღი</td><td>5.6.ადგილი</td><td rowspan="2">5.7.ოფიციალური ბეჭედი</td></tr>
<tr><td colspan="2">5.8.უფლებამოსილი პირის სახელი და ხელმოწერა</td></tr>
</table>

დანართი N 4

სწავლებები

1. ამ წესის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტში და მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრულმა საგზაო მძღოლმა და გამყოლმა წარმატებით უნდა გაიაროს ამ დანართის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სწავლებები და ჩააბარონ გამოცდა სამინისტრო მიერ შერჩეულ დამოუკიდებელ გამომცდელებს.

2. ამ დანართის პირველ პუნქტში მითითებული სასწავლო კურსები უნდა მოიცავდეს სულ მცირე ტექნიკურ და ადმინისტრაციულ ასპექტებს ტრანსპორტირების დროს ცხოველების დაცვასთან დაკავშირებით და, კერძოდ:

ა) ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლები და დანართები N1 და N2;

ბ) ცხოველის ფიზიოლოგია და განსაკუთრებით დაწყურებისა და კვების საჭიროება, ცხოველის ქცევა და სტრესის კონცეფცია;

გ) ცხოველებთან მოპყრობის პრაქტიკული ასპექტები;

დ) სატრანსპორტო საშუალებების მართვის ქცევის გავლენა ტრანსპორტირებადი ცხოველების კეთილდღეობასა და ხორცის ხარისხზე;

ე) გადაუდებელი დახმარება ცხოველებზე;

ვ) უსაფრთხოების წესები ცხოველებთან მომუშავე პერსონალისთვის.

დანართი N5

სააგენტოს მიერ წარდგენილი წლიური ანგარიში 01.01.(XXXX)- დან 31.12(XXXX)-მდე

1.1 ცხოველთა კეთილდღეობა ტრანსპორტირების დროს

ცხოველთა დაცვა ტრანსპორტირების დროს (სახეობების მიხედვით)	ჩატარებული სახელმწიფო კონტროლის რაოდენობა	შეუსაბამობის რაოდენობა და კატეგორია						ქმედება/ზომები	
		1 ცხოველთა ვარგისიანობა	2 ტრანსპორტირების პრაქტიკა, ფართი, სიმაღლე	3 სატრანსპორტო საშუალება	4 წყალი, საკვები, მგზავრობა და დასვენების დრო	5 დოკუმენტები	6 სხვა	ადმინისტრაციული	სასამართლო
მსხვილფეხა საქონელი									
ღორები									
თხა/ცხვარი									
ცხენისებრები									
ფრინველი									
სხვა									

1.2 ტრანსპორტირების დროს ცხოველთა კეთილდღეობის ანალიზი და სამოქმედო გეგმა	

დანართი N 6

საჰაერო ტრანსპორტირებისას ცოცხალი ცხოველების ტრანსპორტირებისათვის შესაბამისი კონტეინერების, გალიის ან საკანის/კაბინის საერთაშორისო სტანდარტები

(ამ წესის I დანართის, II თავის 4.1 პუნქტთან დაკავშირებით))

საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის ასოციაციის (IATA) ცოცხალი ცხოველების რეგულაციები 31-ე გამოცემა, 2004 წლის 1 ოქტომბერი.

დანართი N7

ვეტერინარული კანონმდებლობა

- ტექნიკური რეგლამენტის – ცხოველთა ჯანმრთელობის ზეგავლენა მსხვილფეხა საქონლითა და ღორით ქვეყანაში ვაჭრობაზე დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის №584 დადგენილება;
- „აკვაკულტურის ცხოველის ჯანმრთელობასა და მის პროდუქტებთან დაკავშირებული მოთხოვნებისა და წყლის ცხოველის ზოგიერთი დაავადების პრევენციისა და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის №594 დადგენილება;
- ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის N463 დადგენილება;
- „სპეციალურ მოთხოვნებს დაქვემდებარებული პროდუქტებით ვაჭრობისა და იმპორტისას საზოგადოებრივ და ცხოველთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის №595 დადგენილება;
- ტექნიკური რეგლამენტი - ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტისა (მათ შორის ცხოველური ნარჩენების) და მეორეული პროდუქტის, რომლებიც არ არის გამიზნული ადამიანის მიერ მოხმარებისათვის, ჯანმრთელობისა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ბიზნესოპერატორის აღიარების წესების დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის N605 დადგენილება;

- ტრანსპორტირებისა და მასთან დაკავშირებული ოპერაციების დროს ცხოველთა დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის დადგენილება;
- ,,ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ” - საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის N348 დადგენილება.